

შპს „სანდასუფთავება“
ფინანსური ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული
საანგარიშგებო წლისთვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
მოსაზრება.....	3
ხელმძღვანელობის და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალის ცვლილების ანგარიში	8
ფულადი ნაკადების ანგარიში	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10
1.ზოგადი ინფორმაცია	10
2.მომზადების საფუძვლები	10
3.მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	13
4.მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	21
5.ფასს-ებზე გადასვლის განმარტება.....	22
7. მარაგები	24
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	24
9. ფული და ფულის ექვივალენტები.....	24
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	25
11. შემოსავალი	25
12. პირდაპირი ხარჯები.....	26
13. არასაოპერაციო შემოსავალი	26
14. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	27
15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	29
16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	30
17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	30

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა შპს „სანდასუფთავება“

მოსაზრება

ჩავატარეთ **შპს „სანდასუფთავების“** ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისაგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისაგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს **შპს „სანდასუფთავების“** ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ების) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ **შპს „სანდასუფთავებისაგან“** იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომელიც ეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლების შესაქმნელად.

ხელმძღვანელობის და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, **შპს „სანდასუფთავების“** ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს რეალური არჩევანი ასე არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან **შპს „სანდასუფთავების“** ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტმა დაამტკიცა 2019 წლის 20 სექტემბერს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს

თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლის ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

კონსტანტინე კიკნაძე

შპს „თიჯიეს-კკ ჯგუფის“ სახელით

ქ. თბილისი, არჩილ ქურდიანის 11

18 ოქტომბერი 2019

შპს “სანდასუფთავება”

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

(ლარი)

	შენიშვნა	31.12.2016	31.12.2017	31.12.2018
აქტივები				
ფული და ფულადი ექვივალენტები	9	5,718,209	6,030,335	7,451,603
მოკლევადიანი მოთხოვნები	8	626,623	1,086,956	1,451,883
სასაქონლო მატერიალური მარაგი	7	610,066	665,598	646,442
სხვა მიმდინარე აქტივები		30,344	97,315	31,961
საგადასახადო აქტივი		346,647	468,079	
სულ მიმდინარე აქტივები		7,331,889	8,348,283	9,581,889
გრძელვადიანი მატერიალური აქტივები	6	5,651,177	4,860,238	6,799,985
გრძელვადიანი არამატერიალური აქტივები		1,478	1,109	7,219
სულ გრძელვადიანი აქტივები		5,652,655	4,861,346	6,807,204
სულ აქტივები		12,984,544	13,209,630	16,389,093
ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანება		470,827	127,770	299,700
საგადასახადო ვალდებულებები		211,467	-	175,674
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		157,086	154,036	202,665
მიღებული ავანსები			22,739	21,043
სულ მიმდინარე ვალდებულებები	10	839,380	304,545	699,082
უარყოფითი გუდვილი		1,823	1,823	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,823	1,823	-
სულ ვალდებულებები		841,204	306,368	699,082
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი შპს-ში		6,769,725	6,797,341	6,797,341
გაუნაწილებელი მოგება		5,373,615	6,105,920	7,229,712
გადაფასების რეზერვი				1,662,959
სულ საკუთარი კაპიტალი		12,143,341	12,903,261	15,690,012
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		12,984,544	13,209,630	16,389,093

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი

18 ოქტომბერი 2019

თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

18 ოქტომბერი 2019

თბილისი, საქართველო

შპს “სანდასუფთავება”

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

(ლარი)

	შენიშვნა	12 თვე, 2017 წ.	12 თვე, 2018 წ.
შემოსავალი რეალიზაციიდან	11	9,070,531	9,570,444
სხვა სამეწარმეო შემოსავლები		28,504	16,690
სულ შემოსავალი		9,099,035	9,587,135
ხელფასის ხარჯი		(5,661,946)	(6,139,171)
ცვეთა		(985,808)	(903,202)
საიჯარო ქირის ხარჯი		(42,320)	(4,565)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(2,008,759)	(1,896,144)
სულ საოპერაციო ხარჯები	12	(8,698,833)	(8,943,082)
საპროცენტო შემოსავალი		657,193	686,719
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	13	21,556	310,143
არასაოპერაციო ხარჯი		(346,647)	(19)
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		332,102	996,843
მოგება დაბეგვრამდე		732,305	1,640,896
მოგების გადასახადი			(17,104)
წმინდა მოგება		732,305	1,623,792

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი

18 ოქტომბერი 2019

თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

18 ოქტომბერი 2019

თბილისი, საქართველო

შპს “სანდასუფთავება”

კაპიტალის ცვლილების ანგარიში

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	რეზერვები	ჯამურად
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	6,769,725	5,373,615		12,143,341
საწესდებო კაპიტალის ცვლილება პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	27,616	732,305		27,616 732,305
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6,797,341	6,105,920	-	12,903,261
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)		1,623,792		1,623,792
გაუნაწ. მოგების ცვლილება		(500,000)		(500,000)
ძირ. საშუალებების გადაფასების რეზერვი			1,662,959	1,662,959
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6,797,341	7,229,712	1,662,959	15,690,012

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი

18 ოქტომბერი 2019

თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

18 ოქტომბერი 2019

თბილისი, საქართველო

შპს “სანდასუფთავება”

ფულადი ნაკადების ანგარიში

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

(ლარი)

	2017	2018
მოგება/ზარალი	732,305	1,623,792
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	985,808	903,202
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე	1,718,113	2,526,994
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნების დავალიანებაში	(460,333)	(364,927)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	(55,532)	19,156
ცვლილებები მიმდინარე აქტივებში	(66,971)	65,354
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებაში	(343,057)	171,930
ცვლილებები მიღებულ ავანსებში	22,739	(1,696)
ცვლილებები სხვა მიმდინარე ვალდებულებებში	(3,051)	46,805
ცვლილებები გადასახდელ გადასახადებში	(332,899)	643,753
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	479,009	3,107,369
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფიქსირებული აქტივების შეძენა/ჩამოწერა	(194,499)	(1,186,101)
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(194,499)	(1,186,101)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
კაპიტალის ცვლილება	27,616	(500,000)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	27,616	(500,000)
ფულისა და ექვივალენტების ნეტო ცვლილება	312,126	1,421,268
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	5,718,209	6,030,335
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	6,030,335	7,451,603

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი

18 ოქტომბერი 2019

თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

18 ოქტომბერი 2019

თბილისი, საქართველო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სანდასუფთავება“ (ს/ნ 245548153) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ფუნქციონირებს საქართველოში. საწარმოს იურიდიული მისამართია საქართველო, ბათუმი, ი. ჯავახიშვილის ქ. №55. საწარმოს დამფუძნებელია საჯარო სამართლის იურიდიული პირი თვითმმართველი ქალაქი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი (ს/ნ 245576826), რომელიც ფლობს საწარმოს კაპიტალის 100 პროცენტს. საწარმოს საქმიანობის მთავარი საგანია დაგვა-დასუფთავება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, დერატიზაცია, დეზინსექცია, სამედიცინო ნარჩენების გაუვნებლობა.

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

კომპანია აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის დაცვით და ფინანსურ ანგარიშგებებს ამზადებს ქართულ ლარში ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, კომპანიის მენეჯმენტისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული სააღრიცხვო შეფასებები.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

ა) 2016 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

არც ერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას ან შესწორებას, რომელიც ეფექტურია 2016 წლის 1 იანვრიდან არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

ახალ სტანდარტებს, ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს, რომლებიც ჯერ არის ძალაში შესული და კომპანიას არ დაუწერგავს ნაადრევად ექნებათ ან შეიძლება ჰქონდეთ გავლენა კომპანიის მომავალ ფინანსურ ანგარიშგებებზე. ეს სტანდარტებია:

- ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან.
- ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან. 2014 წლის მაისში გამოიცა ფასს 15, რომელიც მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 – შემოსავლები, ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გთავაზობს ერთ, პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებულ ყველა კონტრაქტზე ვრცელდება:

- კლიენტთან კონტრაქტის იდენტიფიცირება;
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფასს 15-ის მიხედვით, საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე “კონტროლი” კლიენტს გადაეცემა. უფრო დირექტიული ხასიათის ინსტრუქცია დაემატა ისეთ თემებს, როგორებიცაა, მაგალითად, შემოსავლის აღიარების მომენტი, ცვლადი ანაზღაურების აღრიცხვა, კონტრაქტის შესრულებისა და მიღების ხარჯები და სხვა მსგავსი ასპექტები. ასევე შემოდიხ შემოსავლის განმარტების ახალი მოთხოვნები.

სტანდარტი სავალდებულოდ ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს.

ფასს 15-ის გამოყენების შერჩეული მიდგომის გათვალისწინებით, სტანდარტზე გადასვლისას შესაძლებელია, სხვადასხვა მოთხოვნა ანგარიშგების მომზადებისას ერთდროულად კი არ იქნეს გათვალისწინებული, არამედ სხვადასხვა დროს.

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები. 2009 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2010 წლის ოქტომბერში ფასს 9-ში შევიდა შესწორება, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვისა და აღიარების გაუქმების თვალსაზრისით. 2013 წლის ნოემბერში კი მას დაემატა ახალი მოთხოვნა ჰეჯირების ზოგად აღრიცხვასთან დაკავშირებით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. იგი მთლიანობაში მოიცავს ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნებსა და მცირე შესწორებებს, რომლებიც ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის მოთხოვნებს ეხება. ფასს 9 მიზნად ისახავს, ჩაანაცვლოს ბასს 39 – ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და გაზომვა.

ფასს 9-ის ძირითადი მოთხოვნები:

- **ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და გაზომვა.** ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება იმ ბიზნეს-მოდელის მიხედვით, რომელშიც ხდება მათი ფლობა და საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლების გათვალისწინებით. კერძოდ, სავალო ინსტრუმენტები, რომლებსაც პირი ფლობის ისეთი ბიზნეს მოდელით, რომლის მიზანი საკონტრაქტო ფულადი სახსრების შეკრებაა და რომელთა საკონტრაქტო ფულადი სახსრები მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დარჩენილ ნაწილზე დარიცხულ პროცენტს მოიცავს, თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაიზომოს ამორტიზებული ღირებულებით. ფასს 9-ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია სავალო ინსტრუმენტების აღრიცხვის ახალი კატეგორია “რეალური ღირებულება სხვა სრული შემოსავალში”. აღნიშნული ეხება სავალო ინსტრუმენტებს, რომლებიც მოქცეულია ისეთ ბიზნეს-მოდელში, რომლის მიზანი მიიღწევა საკონტრაქტო ფულადი ნაკადების შეგროვებითა და ფინანსური აქტივების გაყიდვით. აღნიშნულ სავალო ინსტრუმენტებში გათვალისწინებული უნდა იყოს ფინანსური აქტივის საკონტრაქტო პირობები, რომლებიც კონკრეტულ დღეს წარმოშობს ისეთი ფულადი სახსრების მოძრაობას, რაც ძირითადი თანხის გადახდებსაც წარმოადგენს და დარჩენილი თანხის პროცენტის გადახდებსაც. ამგვარი სავალო ინსტრუმენტები, თავდაპირველი აღიარების შემდეგ, იზომება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში. ყველა სხვა სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები იზომება რეალური ღირებულებით. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის (არა სავაჭროდ განკუთვნილისა) რეალური ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები და მოგება-ზარალში მხოლოდ დივიდენდური შემოსავლები ასახოს.
- **ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და გაზომვა.** ფინანსური ვალდებულებები ბასს 39-ის მოთხოვნების მსგავსად კლასიფიცირდება. თუმცა, არსებობს განსხვავება მეწარმე პირის საკრედიტო რისკის გაზომვის მოთხოვნებში. ფასს 9 ითხოვს, რომ ამ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული

რეალური ღირებულების ცვლილების ოდენობა წარმოდგენილი იქნეს სხვა სრულ შემოსავლებში, თუ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილების შედეგების აღიარება სხვა სრულ შემოსავლებში საბუღალტრო შეუსაბამობას შექმნის ან გაზრდის მას მოგება-ზარალში. ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკით გამოწვეული რეალური ღირებულების ცვლილება შემდგომში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება.

- **ჰეჯირების აღრიცხვა.** შემოტანილია ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი, რომელიც უფრო კარგად შეესაბამება ფინანსური და არაფინანსური რისკის პოზიციების ჰეჯირებისას მეწარმის რისკის მართვის ზომების ხასიათისას. ფასს 9 მეწარმეებს სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ინსტრუმენტების სახეობათა რიგს, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინტრუმენტებად და არასაფინანსო ერთეულების რისკის კომპონენტების ისეთი ტიპების რაოდენობად, რომლებიც შეიძლება ჰეჯირების აღრიცხვისთვის გამოვიყენოთ. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩანაცვლდა “ეკონომიკური ურთიერთობის” პრინციპით. ასევე აღარ არის საჭირო ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. შემოტანილია განმარტების გაზრდილი მოთხოვნები მეწარმის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებით.
- **აღიარების შეწყვეტა.** ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მოთხოვნები გადმოტანილია ბასს 39-დან.

სტანდარტი სავალდებულოდ ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს. ფასს 9-ის გამოყენების შერჩეული მიდგომის გათვალისწინებით, სტანდარტზე გადასვლისას შესაძლებელია, სხვადასხვა მოთხოვნა ანგარიშგების მომზადებისას ერთდროულად კი არ იქნეს გათვალისწინებული, არამედ სხვადასხვა დროს.

ჯერ კიდევ ფასდება ახალი სტანდარტების, ფასს 15-შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან და ფასს 9-ფინანსური ინსტრუმენტების გავლენა, რადგან მათ შეიძლება ჰქონდეთ მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის მომავალ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, სესხები და მოთხოვნები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, ან გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას.

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებას ან ზარალში

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებას ან ზარალში, როდესაც ფინანსური აქტივი გამიზნულია სავაჭროდ ან არის განსაზღვრული, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი. ისინი აღიარებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული ხელახალი შეფასების დროს წარმოქმნილი ნებისმიერი შემოსავალი ან ზარალით, რომლებიც აღიარდება მოგება-ზარალში.

კომპანიას გააჩნია ვაჭრობისათვის გამიზნული აქტივები და ნებაყოფლობით აქვს კლასიფიცირებული ფინანსური აქტივები, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებას ან ზარალში.

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან გასაზღვრადი გადასახდელებითა და ფიქსირებული დაფარვის ვადებით კლასიფიცირებულია, როგორც დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მისი დაფარვის ვადამდე შენარჩუნების სურვილი და შესაძლებლობა. კომპანიას არ გააჩნია დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები.

სესხები და მოთხოვნები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შემენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივების შესყიდვები და გაყიდვები აღიარდება შემენის თარიღისათვის, ვაჭრობისა და შესყიდვის თარიღებს შორის. რეალური ღირებულების ნებისმიერი ცვლილება აღიარდება გასაყიდად გამიზნული აქტივების რეზერვებში. გაყიდვისას სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული კუმულაციური შემოსავალი ან ზარალი რეკლასიფიცირებულია გასაყიდად არსებული რეზერვებიდან მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მაშინ, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი

რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე არადაკავშირებულ მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

(ბ) ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც კომპანიის მიმართ არსებული ვალდებულებები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, შემცირებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში გადასახდელ ფულად სახსრებს ფინანსური ვალდებულების მომსახურების ვადის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

(გ) გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და კომპანიას აქვს განზრახვა ზემოთხსენებული თანხები წარადგინოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

(დ) ფასს 7 რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფასს 7 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

1. იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
2. პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და
3. ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ფასს 7-ის მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალება ფასდება ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის თანხით. კაპიტალიზდება მნიშვნელოვანი ნაწილების გამოცვლის ხარჯები, ხოლო გამოცვლილი ნაწილის ღირებულებები ჩამოიწერება.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებები გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა გადამოწმდეს, ხომ არ არის აღიარებული ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტად. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი გამოყენებად ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის.

როდესაც მიმდინარე ღირებულება გადააჭარბებს განსაზღვრულ ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების აღიარება ხდება შესაბამის პერიოდში და აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში. წინა პერიოდებში ძირითადი საშუალებების გაუფასურებით მიღებული ზარალი გადაიხედება თუ შეიცვლა ვარაუდები, რომელიც გამოყენებულ იქნა ძირითადი საშუალებების გამოყენებადი ღირებულების ან რეალურ ღირებულებას გამოკლებული სარეალიზაციო ღირებულების განსასაზღვრად.

გაყიდვით გამოწვეული მოგება და დანაკარგი, რომლებიც განისაზღვრება საბალანსო ღირებულების სანაცვლო ღირებულებასთან შედარებით, აღიარდება მიმდინარე წლის მოგება-ზარალში.

ცვეთის ნორმისა და ხარჯის დასადგენად ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრულია შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადა:

1	შენობები	50 წელი
2	ნაგებობები	5-7 წელი
3	მუდმივი შემაკავებელი დანადგარი მდინარის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად	5-7 წელი
4	სამეთვალყურეო კამერების დავიდეო თვალეზი	5-7 წელი

5	მანქანა-დანადგარები	5-7 წელი
6	ოფისის აღჭურვილობა	5-7 წელი
7	ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-7 წელი
8	სატრანსპორტო საშუალებები	5-7 წელი
9	მისაბმელები და ნახევარმისაბმელები	5-7 წელი

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისგან.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ნაღდი ფულისა და ფულის ექვივალენტებში.

კაპიტალი & დივიდენდები

კაპიტალი შედგება დაუფარავი ზარალისაგან. საანგარიშგებო პერიოდში არ მომხდარა დივიდენდის გაცემა.

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახადელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯებს, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში და იგი ძირითადად დამოკიდებულია გაცემული დივიდენდის ოდენობაზე.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ მე-4 შენიშვნა).

ორგანიზაციის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. ქონების რეალიზაციითა და იჯარით მიღებული შემოსავალი აღირიცხება, როგორც საოპერაციო შემოსავალი.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს („ფუნქციური ვალუტა“). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს 2017-2018 წლის 31 არსებულ ოფიციალურ გაცვლით კურსებს:

	დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2.5922	3.1044
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701

ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

ანარიცხი არის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. ვალდებულება არის წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად წარმოშობილი მიმდინარე მოვალეობა, რომლის დასაფარავად საჭიროა ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების საწარმოოდან გასვლა. ვალდებულების წამომქმნელი მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც კომპანიამ უპირობოდ უნდა

დაფაროს ვალდებულება. იურიდიული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება შემდეგი ფაქტორებიდან:

- ხელშეკრულება (ყველა პირობის გათვალისწინებით, მათ შორის, ზეპირი);
- კანონმდებლობა; ან
- სხვა კანონიერი ქმედება.

კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიქმნება კომპანიის ქმედებებიდან, რაც გულისხმობს შემდეგს:

- წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განაცხადით, კომპანია სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, კომპანია აღნიშნულ სხვა მხარეებს უქმნის სამართლიან მოლოდინს, რომ იგი შეასრულებს აღებულ ვალდებულებებს.

ტერმინი “პირობითი ვალდებულება” გამოიყენება ვალდებულებებისათვის, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ აღიარების კრიტერიუმებს.

საანარიცხო პოლიტიკა გამოყოფს შემდეგ კატეგორიებს:

- ანარიცხები - რომლებიც აღიარდება, როგორც ვალდებულება (იმ პირობით, რომ შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება), რადგან ისინი წარმოადგენენ მიმდინარე მოვალეობას და მოსალოდნელია, რომ მათ დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა; და
- პირობითი ვალდებულებები - რომლებიც არ აღიარდება, როგორც ვალდებულება, რადგან წარმოადგენს, ან:

- შესაძლო მოვალეობებს, რადგან ჯერ კიდევ არაა დადასტურებული, გააჩნია თუ არა კომპანიას მიმდინარე მოვალეობა, რომლის შესრულება გამოიწვევს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლას; ან
- მიმდინარე მოვალეობებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს (რადგან მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურსარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა, ან შეუძლებელა ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება).

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

პირობითი ვალდებულებები შეიძლება განვითარდეს თავდაპირველად მოსალოდნელისგან განსხვავებული სახით. ამიტომ ისინი ფასდება მუდმივად, რათა განისაზღვროს, ხომ არაა აუცილებელი ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა. იმ შემთხვევაში, თუ იმ ვალდებულების დასაფარად, რომელიც განიხილებოდა პირობით ვალდებულებად, საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხი იმ პერიოდში, როდესაც ასეთ ცვლილებას ექნება ადგილი (გარდა განსაკუთრებულად იშვიათი შემთხვევებისა, როდესაც ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია).

პირობითი აქტივები არ აისახება ფინანსური ანგარიშგებაში, თუმცა მათ შესახებ ინფორმაცია მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, როდესაც შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის შემოძინება. თუ ეკონომიკური სარგებელი აუცილებლად მიიღება, აქტივი და შესაბამისი შემოსავალიც აღიარდება შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც შეფასების ცვლილება მოხდა.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესახებ შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. ამ საგადასახადო მოდელის მიზანია გაამარტივოს გადასახადის ადმინისტრირება და ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის შესწორების მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ გადაავადოს მოგების გადასახადის გადახდის დრო წმინდა მოგების განაწილებამდე. ეს მოდელი გაზრდის თანხების ხელმისაწვდომობას და ხელს შეუწყობს გამომუშავებული თანხის რეინვესტირებას კომპანიებში. მოგების გადასახადი განაკვეთი იგივე 15% რჩება, ტექნიკურად 15%/85% გამოყენებული იქნება დაბეგვრის ობიექტად. გარდა ამისა, ნაცვლად წლიური ხარჯისა, მოგების გადასახადის დარიცხვა მოხდება ყოველთვიურად არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვამდე.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დასაბეგრი ოპერაციებია :

- გადახდილი დივიდენდი
- სხვაობა საკონტრქტო ფასსა და საბაზრო ფასს შორის
- ხარჯები, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საჩუქრები და უფასო მიწოდება
- წარმომადგენლობითი ხარჯი, რომელიც აღემატება ლიმიტს

საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს

სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

5.ფასს-ებზე გადასვლის განმარტება

მე-3 შენიშვნაში მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკები გამოყენებულ იქნა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგებების მოსამზადებლად, ასევე, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესადარისი ფინანსური ინფორმაციისთვის და 2017 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით არსებული საწყისი ნაშთებისთვის.

6 - ძირითადი საშუალებები

(ლარი)									
	ობიექტის დასახელება	ისტორიული ღირებულება 31.12.17	შესყიდვები - გადმოცემა 2018 წლის განმავლობაში	გასვლა 2018 წლის განმავლობაში	ისტორიული ღირებულება 31.12.18	დაგროვილი ცვეთა 31.12.2017	წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2017	დაგროვილი ცვეთა 31.12.2018	წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2018
	შეძენის ღირებულება								
1	მიწის ნაკვეთები	147,600	1,162,740	23,425	1,286,915	-	147,600	-	1,286,915
2	შენობები	615,475	937,082	238,977	1,313,580	216,355	399,120	26,272	1,287,308
3	ნაგებობები	93,653	14,094	35,602	72,146	10,567	83,086	3,607	68,538
4	მუდმივი შემაკავებელი დანადგარი მდინარის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად	59,670	9,433	-	69,103	-	59,670	13,821	55,282
5	სამეთვალყურეო კამერების დავიდეო თვალები	5,120	6,840	-	11,960	2,015	3,105	2,864	9,096
6	მანქანა-დანადგარები	523,683	37,820	402,060	159,443	410,058	113,625	38,959	120,484
7	ოფისის აღჭურვილობა	46,236	15,100	2,087	59,249	33,513	12,723	35,051	24,198
8	ავეჯი და სხვა ინვენტარი	33,248	4,960	432	37,776	25,475	7,772	26,826	10,950
9	სატრანსპორტო საშუალებები	5,928,801	328,829	3,612,639	2,644,991	3,535,673	2,393,128	508,452	2,136,539
10	მისაზმელები და ნახევარმისაზმელები	516,503	-	269,398	247,104	269,398	247,104	49,421	197,684
11	ველოსიპედები	9,739	-	-	9,739	6,311	3,428	6,997	2,742
12	ურიკები	480	-	80	400	279	201	266	134
13	კონტეინერები	2,978,810	575,029	192,284	3,361,555	1,598,925	1,379,885	1,772,829	1,588,726
14	ტელეფონები	8,976	3,500	1,204	11,272	2,806	6,171	3,503	7,769
15	მრავალწლიანი ნარგავები	3,620	-	-	3,620	-	3,620	-	3,620
	ჯამი	10,971,614	3,095,428	4,778,189	9,288,853	6,111,376	4,860,238	2,488,868	6,799,985

7. მარაგები

მარაგები 2017-2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შესაბამისად:

		(ლარი)	
	დასახელება	31.12.2018	31.12.2017
1	საწვავი	-	-
2	ზეთები	22,872	23,485
3	საკანცელარიო საქონელი	7,622	708
4	სარემონტო მასალები	25,780	25,249
5	ავტონაწილები	483,324	503,672
6	საოფისე სამეურნეო საქონელი	-	-
7	ჰიგიენური-სადეზინფექციო საშუალებები	4,852	3,869
8	სპეცტანსაცმელი	10,567	16,530
9	სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	62,601	62,783
10	სხვა სახის მარაგი	28,699	28,964
11	დერატიზაცია-დეზინსექციის ხელსაწყოების ნაწილები	127	339
	ჯამი	646,442	665,598

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2017-2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შესაბამისად:

		(ლარი)	
	დასახელება	31.12.2018	31.12.2017
1	მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,055,656	737,149
2	მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	69,790	31,727
3	სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1,093	1,093
4	მოთხოვნები ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო დარიცხულ საჯარიმო სანქციებზე	214,348	214,348
5	გაცემული ავანსები	1,065	6,114
6	მოთხოვნები დაკავშირებული შესყიდვების სააგენტოსთან	109,930	96,524
	ჯამი	1,451,883	1,086,956

9. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2017-2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

		(ლარი)	
	დასახელება	31.12.2018	31.12.2017
1	ფული სალაროში	100	100
2	ფული საბანკო ანგარიშზე - ლარი	7,451,415	6,030,147
3	ფული საბანკო ანგარიშზე - უცხოური ვალუტა	88	88
	ჯამი	7,451,603	6,030,335

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2017-2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

		(ლარი)	
	დასახელება	31.12.2018	31.12.2017
1	მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	299,700	127,770
2	გადასახდელი ხელფასები	192,544	144,934
3	ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	309	309
4	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	436	336
5	დეპონირებული ხელფასები		208
6	სხვადასხვა ვალდებულებები	2,199	1,233
7	გაუთვალისწინებელი ვალდებულება	7,176	7,015
8	საგადასახადო ვალდებულებები	175,674	
9	მიღებული ავანსები	21,043	22,739
	ჯამი	699,082	304,545

11. შემოსავალი

შემოსავალი 2017-2018 წლებისთვის შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

		(ლარი)	
	დასახელება	2018	2017
1	შემოსავალი სამედიცინო ნარჩენების გაუვნებლობიდან	231,562	196,767
2	შემოსავალი დერატიზაცია-დეზინსექციის მომსახურებიდან	36,661	32,636
3	შემოსავალი ტექნიკური წყლის მიწოდებიდან	32,712	20,848
4	შემოსავალი ნარჩენების უტილიზაციიდან	3,017	22,186
5	შემოსავალი სამშენებლო ნარჩენების ნაგავსაყრელზე განთავსებიდან	15,415	14,178
6	შემოსავალი სხვა დანარჩენი სანიტარული დასუფთვების მომსახურებიდან	1,432	2,271
7	შემოსავალი მუნიციპალური სექტორისათვის გაწეული სანიტარული დასუფთვების მომსახურებიდან	9,243,416	8,780,846
10	სხვა საოპერაციო შემოსავლები	6,229	798
11	სხვა შემოსავლები	-	-
	ჯამი	9,570,444	9,070,531

12. პირდაპირი ხარჯები

პირდაპირი ხარჯები 2017-2018 წლებისთვის შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

(ლარი)

	დასახელება	2018 წელი	2017 წელი
1	შრომის ანაზღაურება	6,139,171	5,661,946
2	ცვეთა და ამორტიზაცია	903,202	985,808
3	საიჯარო ქირის ხარჯი	4,565	42,320
4	სამეურნეო ხარჯი	5,808	2,935
5	ძირითადი საშუალებების გაყიდვა/ჩმოწერის ხარჯი	76,631	349,070
6	დამატებით საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯი	-	51,088
7	საბანკო მომსახურების ხარჯი	17,517	8,934
8	მომსახურების გაწევის ხარჯი	6,119	-
9	კომუნიკაციისა და ფოსტის ხარჯი	6,131	4,933
10	მივლინების ხარჯი	2,034	1,684
11	კომუნალური მომსახურების ხარჯი	16,993	18,117
12	სამედიცინო ნარჩენების გაუვნებლობის უფლების მოპოვებასთან დაკავშირებული ხარჯი	3,982	-
13	რემონტის ხარჯი	11,685	6,219
14	საკანცელარიო და კომპიუტერის ხარჯი	5,998	8,467
15	საკონსულტაციო და სხვა მომსახურების ხარჯი	11,841	23,980
16	საწვავის ხარჯი	57,618	79,514
17	ავტომანქანის დაზღვევის ხარჯი	4,945	-
18	სხვა საბიუჯეტო ხარჯი	54,855	59,948
19	სატენდერო ხარჯი	3,225	3,341
20	ტრანსპორტის გადაადგილების კონტროლის პროგრამა GPS	9,235	9,024
21	სხვა საერთო ხარჯი	5,944	2,818
22	დღგ-ს ჩათვლიდან ამოღების ხარჯი	216,020	206,671
23	სამუშაო ინვენტარის ხარჯი	246,342	319,819
24	საწარმოო პერსონალის ხარჯი	1,449	5,781
25	საწარმოო ავტომანქანების მიმდინარე რემონტის ხარჯი	340,433	266,864
26	საწარმოო ავტომანქანების საცხებ-საპოხი მასალების ხარჯი	35,445	33,801
27	საწარმოო ავტომანქანების საწვავის ხარჯი	747,739	541,121
28	გაყიდული მარაგის თვითღირებულება	8,155	
29	რეკლამის ხარჯი	-	4,633
	ჯამი	8,943,082	8,698,833

13. არასაოპერაციო შემოსავალი

არასაოპერაციო შემოსავალი 2017-2018 წლებისთვის შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

		(ლარი)	
	დასახელება	2018 წელი	2017 წელი
1	ჩამოწერილი აქტივების შედეგად მიღებული ნარჩენების ბალანსზე აყვანით მიღებული და აუქციონის წესით გაყიდული აქტივებიდან მიღებული შემოსავალი	8,768	5,794
2	სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	301,375	15,762
	ჯამი	310,143	21,556

14. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში. ითვლება, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც ლიკვიდურია და/ან აქვთ მოკლევადიანი გადახდის ვადა, ახლოსაა მათ რეალურ ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის.

მენეჯმენტის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
 - სავალუტო რისკი
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანიის მიერ გამოყენებული ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთაგან ფინანსური რისკი წარმოიქმნება შემდეგია:

ფინანსური აქტივები (ლარი)	12/31/2018	12/31/2017	1/1/2017
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,451,883	1,086,956	626,623
ფული და ფულადი ექვივალენტები	7,451,603	6,030,335	5,718,209
სულ ფინანსური აქტივები	8,903,486	7,117,291	6,344,832

ფინანსური ვალდებულებები (ლარი)	12/31/2018	12/31/2017	1/1/2017
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	699,082	304,545	839,380

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშე კომპანია დგება კრედიტით რეალიზაციის შედეგად.

საკრედიტო რისკი წარმოიშობება მაშინ, როდესაც კონტრაგენტები დგებიან ფინანსური პრობლემების წინაშე და ვერ ასრულებენ თავის ვალდებულებებს კომპანიისთვის ვალდებულებების დაბრუნებასთან დაკავშირებით. კომპანიას შეიძლება შეექმნას სირთულეები დებიტორული დავალიანების შეგროვებისას, რის შედეგადაც თავისი საქმიანობის წარმართვისას აღმოჩნდება შეზღუდული რესურსების პრობლემის წინაშე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშგების თარიღისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საკრედიტო რისკი			
ფინანსური აქტივები (ლარი)	12/31/2018	12/31/2017	1/1/2017
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,451,883	1,086,956	626,623
ფული და ფულადი ექვივალენტები	7,451,603	6,030,335	5,718,209
სულ ფინანსური აქტივები	8,903,486	7,117,291	6,344,832

ფინანსური აქტივები, რომელიც შესაძლებელია განისაზღვროს კომპანიის საკრედიტო რისკად, ძირითადად მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას.

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობება კომპანიის საბრუნავი კაპიტალის მართვისას. ეს არის იმის რისკი, რომ კომპანია აღმოჩნდება საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულის წინაშე, რაც უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის მიმდინარე ოპერაციებსა და მის საქმიანობაზე. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

- საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე. კომპანიის ყველა მნიშვნელოვანი აქტივი და ვალდებულება მიბმულია ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე.

- სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

სავალუტო რისკის კომპანიაზე არ მოახდენს გავლენას ვინაიდან არ ხორციელდება სავალუტო ოპერაციები.

15 - ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომ ადგილი არ ქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც საჭიროებენ ფინანსურ ანგარიშგებაში გაშიფვრას.

17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 20 სექტემბერს.

თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლის ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

კონსტანტინე კიკნაძე

შპს „თიჯიეს-კვ ჯგუფის“ სახელით

ქ. თბილისი, არჩილ ქურდიანის 11

18 ოქტომბერი 2019



შპს "სანდასუფთავება"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

(ლარი)

	შენიშვნა	31.12.2016	31.12.2017	31.12.2018
აქტივები				
ფული და ფულადი ექვივალენტები	9	5,718,209	6,030,335	7,451,603
მოკლევადიანი მოთხოვნები	8	626,623	1,086,956	1,451,883
სასაქონლო მატერიალური მარაგი	7	610,066	665,598	646,442
სხვა მიმდინარე აქტივები		30,344	97,315	31,961
საგადასახადო აქტივი		346,647	468,079	
სულ მიმდინარე აქტივები		7,331,889	8,348,283	9,581,889
გრძელვადიანი მატერიალური აქტივები	6	5,651,177	4,860,238	6,799,985
გრძელვადიანი არამატერიალური აქტივები		1,478	1,109	7,219
სულ გრძელვადიანი აქტივები		5,652,655	4,861,346	6,807,204
სულ აქტივები		12,984,544	13,209,630	16,389,093
ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანება		470,827	127,770	299,700
საგადასახადო ვალდებულებები		211,467	-	175,674
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		157,086	154,036	202,665
მიღებული ავანსები			22,739	21,043
სულ მიმდინარე ვალდებულებები	10	839,380	304,545	699,082
უარყოფითი გუდვილი		1,823	1,823	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,823	1,823	-
სულ ვალდებულებები		841,204	306,368	699,082
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი შპს-ში		6,769,725	6,797,341	6,797,341
გაუნაწილებელი მოგება		5,373,615	6,105,920	7,229,712
გადაფასების რეზერვი				1,662,959
სულ საკუთარი კაპიტალი		12,143,341	12,903,261	15,690,012
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		12,984,544	13,209,630	16,389,093

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი
18 ოქტომბერი 2019
თბილისი, საქართველო



მთავარი ბუღალტერი

მთავარი ბუღალტერი

18 ოქტომბერი 2019

თბილისი, საქართველო

შპს "სანდასუფთავება"

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

(ლარი)

	შენიშვნა	12 თვე, 2017 წ.	12 თვე, 2018 წ.
შემოსავალი რეალიზაციიდან	11	9,070,531	9,570,444
სხვა სამეწარმეო შემოსავლები		28,504	16,690
სულ შემოსავალი		9,099,035	9,587,135
ხელფასის ხარჯი		(5,661,946)	(6,139,171)
ცვეთა		(985,808)	(903,202)
საიჯარო ქირის ხარჯი		(42,320)	(4,565)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(2,008,759)	(1,896,144)
სულ საოპერაციო ხარჯები	12	(8,698,833)	(8,943,082)
საპროცენტო შემოსავალი		657,193	686,719
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	13	21,556	310,143
არასაოპერაციო ხარჯი		(346,647)	(19)
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		332,102	996,843
მოგება დაბეგვრამდე		732,305	1,640,896
მოგების გადასახადი			(17,104)
წმინდა მოგება		732,305	1,623,792



ხელმძღვანელოზე უფლებამოსილი პირი

18 ოქტომბერი 2019

თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

მთავარი ბუღალტერი

18 ოქტომბერი 2019

თბილისი, საქართველო

შპს “სანდასუფთავება”

კაპიტალის ცვლილების ანგარიში

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	რეზერვები	ჯამურად
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	6,769,725	5,373,615		12,143,341
საწესდებო კაპიტალის ცვლილება პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	27,616	732,305		732,305
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6,797,341	6,105,920	-	12,903,261
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)		1,623,792		1,623,792
გაუნაწ. მოგების ცვლილება ძირ. საშუალებების გადაფასების რეზერვი		(500,000)	1,662,959	(500,000)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6,797,341	7,229,712	1,662,959	15,690,012

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი
18 ოქტომბერი, 2019
თბილისი, საქართველო



მთავარი ბუღალტერი

მთავარი ბუღალტერი

18 ოქტომბერი 2019

თბილისი, საქართველო

შპს "სანდასუფთავება"

ფულადი ნაკადების ანგარიში

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

(ლარი)

	2017	2018
მოგება/ზარალი	732,305	1,623,792
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	985,808	903,202
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე	1,718,113	2,526,994
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნების დავალიანებაში	(460,333)	(364,927)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	(55,532)	19,156
ცვლილებები მიმდინარე აქტივებში	(66,971)	65,354
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებაში	(343,057)	171,930
ცვლილებები მიღებულ ავანსებში	22,739	(1,696)
ცვლილებები სხვა მიმდინარე ვალდებულებებში	(3,051)	46,805
ცვლილებები გადასახდელ გადასახადებში	(332,899)	643,753
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	479,009	3,107,369
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფიქსირებული აქტივების შეძენა/ჩამოწერა	(194,499)	(1,186,101)
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(194,499)	(1,186,101)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
კაპიტალის ცვლილება	27,616	(500,000)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	27,616	(500,000)
ფულისა და ექვივალენტების ნეტო ცვლილება	312,126	1,421,268
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	5,718,209	6,030,335
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	6,030,335	7,451,603

ხელმძღვანელობაზე დაფიქსირებული პირი
18 ოქტომბერი 2019
თბილისი, საქართველო



გენერალ-დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

18 ოქტომბერი 2019

თბილისი, საქართველო

შპს „სანდასუფთავება“

მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

შპს „სანდასუფთავება“

შინაარსი

- შპს „სანდასუფთავების“ ისტორია, დამფუძნებლები და მმართველობა
- შპს „სანდასუფთავების“ საქმიანობის აღწერა და ძირითადი მაჩვენებლები
- შპს „სანდასუფთავების“ განვითარების გეგმები

შპს „სანდასუფთავების“ ისტორია, დამფუძნებლები და მმართველობა

შპს „სანდასუფთავება“ თავის ისტორიას 2006 წლიდან ითვლის და თითქმის მთლიან აჭარას ემსახურება. იგი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 100% წილობრივი მონაწილეობით შექმნილი ორგანიზაციაა.

საქმიანობის მიმართულებები

- დაგვა-დასუფთავება;
- სანაპირო ზოლის დასუფთავება;
- ეზოებისა და მიმდებარე ტერიტორიების დასუფთავება;
- მწვანე ზოლის დასუფთავება;
- ქუჩების მორწყვა-მორეცხვა;
- საყოფაცხოვრებო ნარჩენებისა და ანახვეტის გამოტანა;
- კონტეინერების გარეცხვა;
- მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის აღკვეთა;
- ქუჩებისა და სავალი ნაწილის თოვლის საფარისაგან გაწმენდა;
- ბ ჯგუფის ნარჩენების გატანა და ინსინიატორით განადგურება;
- დერატიზაცია-დეზინსექცია;
- დასუფთავების წესების დარღვევების გამოვლენა.

საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება აქვს საზოგადოების დირექტორს, რომლის უფლებამოსილება განისაზღვრება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით და საზოგადოების წესდებით. საზოგადოებას ეფექტური მართვის მიზნით, მასში შექმნილი არის სტრუქტურული ერთეულები, რომელთა უფლებამოსილება განისაზღვრება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით, საზოგადოების წესდებითა და ამ დებულებით. საზოგადოების სტრუქტურული ერთეულებია:

სტრუქტურული ერთეულები

დირექტორი
დირექტორის მოადგილე
ადმინისტრაცია
ეკონომიკური სამსახური
ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სამსახური
მონიტორინგისა და ზედამხედველობის სამსახური
კომერციული შემოსავლების სამსახური
მოსაკრებლის ადმინისტრირების სამსახური
მატერიალური რესურსების მართვის სამსახური
სამედიცინო ნარჩენების უტილიზაციის სამსახური
დერატიზაცია-დეზინსექციის განყოფილება
დისპეძერია
სარემონტო საამქრო
სამრეცხაო საამქრო
ძველი ბათუმის დაგვა-დასუფთავების სამსახური
ბათუმის დაგვა-დასუფთავების სამსახური-აღმაშენებელი
ბათუმის დაგვა-დასუფთავების სამსახური-ბაგრატიონი
მობილური ჯგუფი

შპს „სანდასუფთავების“ საქმიანობის აღწერა და ძირითადი მაჩვენებლები

2018 წლისთვის საწარმოს ძირითადი საქმიანობის 80%-ს ქ.ბათუმის მერიიდან მიღებული შემოსავლები წარმოადგენდა, ხოლო დანარჩენს ხულოს, შუახევის, ქედისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების, ასევე სსიპ ბათუმის ბულვარისა და სხვა წყაროებიდან მიღებული შემოსავლები წარმოადგენდა.

საოპერაციო შემოსავლები 2018 წელი

საოპერაციო შემოსავლები	9 570 444
შემოსავალი მუნიციპალური სექტორისათვის გაწეული სანიტარული დასუფთავების მომსახურებიდან	9 243 416
შემოსავალი სამედიცინო ნარჩენების გაუვნებლობიდან	231 562
შემოსავალი დერატიზაცია-დეზინსექციის მომსახურებიდან	36 661
შემოსავალი ტექნიკური წყლის მიწოდებიდან	32 712
შემოსავალი ნარჩენების უტილიზაციიდან	3 017
შემოსავალი სამშენებლო ნარჩენების ნაგავსაყრელზე განთავსებიდან	15 415
შემოსავალი სხვა დანარჩენი სანიტარული დასუფთავების მომსახურებიდან	1 432
სხვა საოპერაციო შემოსავლები	6 229
სხვა სამეწარმეო შემოსავლები	16 690
არასაოპერაციო შემოსავალი	310 143
ჩამოწერილი აქტივების შედეგად მიღებული ნარჩენების ბალანსზე აყვანით მიღებული და აუქციონის წესით გაყიდული აქტივებიდან მიღებული შემოსავალი	8 768
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	301 375
საპროცენტო შემოსავალი	686 719

აღსანიშნავია, რომ მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168 მუხლის 2-ე პუნქტის „ჟ“ მუხლის თანახმად ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ისგან გათავისუფლებულია ადგილობრივი თვითმმართველობისათვის დასახლებულ ტერიტორიაზე დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურების გაწევა. აქედან გამომდინარე 2018 წლისათვის მუნიციპალური შემოსავლებიდან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულია 7 985 072, დაახლოებით 86%.

შემოსავალი მუნიციპალური სექტორიდან 2018წელი

შემოსავალი მუნიციპალური სექტორისათვის გაწეული სანიტარული დასუფთავების მომსახურებიდან	9 243 416
მ.შ. ჩათვლის უფლებით გათავისუფლებული ბრუნვა	7 985 072
დღგ-თი დასაბეგრი ბრუნვა	1 258 344

შემოსავლების მნიშვნელოვან წილს ბანკში არსებულ ფულადი სახსრების ნაშთზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი წარმოადგენს და წლის ბოლოსთვის ის 686 719 ლარს შეადგენს.

2018 წლის ფინანსური მაჩვენებლებში ხარჯის საერთო მოცულობამ 8 943 101 ლარი შეადგინა. აქედან საოპერაციო ხარჯი ჯამში 7 354 016 ლარს შეადგენს.

საოპერაციო ხარჯები 2018წელი

	დასახელება	2018 წელი
1	შრომის ანაზღაურება	5 418 006
2	სამუშაო ინვენტარის ხარჯი	246 342
3	საწარმოო პერსონალის ხარჯი	1 449
4	საწარმოო ავტომანქანების მიმდინარე რემონტის ხარჯი	340 433
5	საწარმოო ავტომანქანების საცხებ-საპოხი მასალების ხარჯი	35 445
6	საწარმოო ავტომანქანების საწვავის ხარჯი	747 739
7	საწარმოო ავტომანქანების ცვეთის ხარჯი	557 473
8	გაყიდული მარაგის თვითღირებულება	8 155
	ჯამი	7 355 042

შრომის ანაზღაურება საოპერაციო ხარჯების 74% შეადგენს, ხოლო საწვავის ხარჯი 10% გამომდინარე აქედან შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე დიდი ყურადღება ხარჯების ამ პუნქტებს უნდა მიექცეს. საწვავის ხარჯვისა და სპეცტექნიკის გადაადგილების კონტროლი ჯპს სისტემების მეშვეობით ხორციელდება, რომლითაც გადაადგილებასა და საწვავის ხარჯვასთან ერთად საწვავის ამოსხმის კონტროლის შესაძლებლობას იძლევა. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ხდება საწვავის ფაქტიური ხარჯის აღიარება. არსებული ტექნიკური ხარვეზები, ხშირ შემთხვევაში საწარმოო პროცესის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, რის გამოც ვერ ხერხდება ექსპერტიზის მიერ დადგენილი საწვავის ხარჯვის ნორმების დაცვა.

ადმინისტრაციული ხარჯები 2018წელი

	დასახელება	2018 წელი
1	შრომის ანაზღაურება	721 165
2	სამეურნეო ხარჯი	5 808
3	ძირითადი საშუალებების გაყიდვა/ჩმოწერის ხარჯი	76 631
4	დამატებითი საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯი	-
5	საბანკო მომსახურების ხარჯი	17 517
	მომსახურების გაწევის ხარჯი	6 119
6	საიჯარო ქირის ხარჯი	4 565
7	კომუნიკაციისა და ფოსტის ხარჯი	6 131
8	მივლინების ხარჯი	2 034
9	კომუნალური მომსახურების ხარჯი	16 993
	სამედიცინო ნარჩენების გაუვნებლობის უფლების მოპოვებასთან დაკავშირებული ხარჯი	3 982
10	რემონტის ხარჯი	11 685
11	საკანცელარიო და კომპიუტერის ხარჯი	5 998
12	საკონსულტაციო და სხვა მომსახურების ხარჯი	11 841
13	ცვეთა და ამორტიზაცია	345 728
14	საწვავის ხარჯი	57 618
15	ავტომანქანის დაზღვევის ხარჯი	4 945
16	წარმომადგენლობითი ხარჯი	
17	სხვა საბიუჯეტო ხარჯი	54 855
18	სატენდერო ხარჯი	3 225
19	ტრანსპორტის გადაადგილების კონტროლის პროგრამა GPS	9 235
20	სხვა საერთო ხარჯი	5 944
21	დღგ-ს ჩათვლიდან ამოღების ხარჯი	216 020
	ჯამი	1 588 040

შპს „სანდასუფთავების“ განვითარების გეგმები

1. ნარჩენების მართვის გაუმჯობესების გეგმა
2. დაგვა-დასუფთავების გაუმჯობესების პროგრამა
3. დერატიზაცია-დეზინსექციის სერვისის გაუმჯობესება
4. სახიფათო სამედიცინო ნარჩენები გაუვნებელყოფის
პროგრამა „უსაფრთხო გარემო“
5. დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირებისა და
ამოღების
გაუმჯობესების ღონისძიებები
6. სერვის ცენტრის ამოქმედება და მოქალაქეებისათვის
მომსახურების მიწოდების გამარტივების ღონისძიებები.
7. პერსონალის განვითარების, შრომის დაცვისა და
უსაფრთხოების პროგრამა

1. ნარჩენების მართვის გაუმჯობესება

გეგმის ძირითად მიზანს ქალაქ ბათუმის, ხელვაჩაურის, ხულოს და შუახევის მუნიციპალიტეტებიდან ნარჩენების მართვის კოდექსის მე-5 მუხლში მოცემული ნარჩენების მართვის პრინციპების დაცვით, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და ნაგავსაყრელზე ტრანსპორტირება, მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების ეფექტიანი პროცედურების და მოთხოვნების დანერგვა წარმოადგენს, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება, მათ შორის ზედაპირულ წყლებზე, მიწისქვეშა წყლებზე, ნიადაგსა და ატმოსფერულ ჰაერზე.

გეგმის ეფექტურად განხორციელების შემთხვევაში მინიმუმამდე შემცირდება ნარჩენებით გარემოს დაბინძურების/დანაგვიანების შემთხვევები, რეგიონის მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი და კომფორტული გახდება ნარჩენების მართვის სერვისით სარგებლობა, ტურისტებისა და სხვა ვიზიტორებისთვის კიდევ უფრო მიმზიდველი გახდება ჩვენი რეგიონი.

გეგმის აღწერა:

შპს „სანდასუფთავება“ ქალაქ ბათუმსა და აჭარის მუნიციპალიტეტებში ნარჩენების შეგროვებითათვის ძირითადად იყენებს კოლექტიური შეგროვების მეთოდს, ამ დროს ნარჩენების შესაგროვებლად გამოიყოფა საზოგადოებრივი ადგილები, სადაც ხდება ერთი ან რამდენიმე კონტეინერის დადგმა, რომელსაც მიმდებარე მოსახლეობა ერთობლივად იყენებს ნარჩენების განსათავსებლად. ნარჩენების კოლექტიური შეგროვების მიდგომის ძირითადი უპირატესობები და ნაკლოვანებებია

უპირატესობა:

- ნარჩენების შეგროვება საერთო კონტეინერებში ნარჩენების კოლექტიური შეგროვების მიდგომებს შორის ყველაზე ეკონომიურია.
- სხვა მეთოდებთან შედარებით ამ მეთოდს პერსონალის ნაკლები რაოდენობა სჭირდება.
- ნარჩენების კონტეინერები მუდმივად ხელმისაწვდომია ნარჩენების წარმომქმნელებისათვის.
- შეგროვების ასეთი მიდგომის მქონე სისტემების მართვის გამოცდილება.

ნაკლოვანება:

- მოსახლეობისათვის მოუხერხებელია ნარჩენების მიტანა შეგროვების ადგილებამდე.
- შეიძლება ადგილი ჰქონდეს ნარჩენების გადმოყრას/ნარჩენებიდან გარკვეული მასალების ამოღებას, რაც კონტეინერის გარეთ ნარჩენების დაგროვებას გამოიწვევს.

ჩვენ ნარჩენების გამოტანის პროცესში ვიყენებთ, როგორც უკანა ჩატვირთვის სისტემის საპრესი მოწყობილობის მქონე ნაგავშიიდებს, ასევე საპრესი მოწყობილობის არმქონე

ნაგავმზიდებსაც. საპრესი მოწყობილობის მქონე ნაგავმზიდები თავის მხრივ დამწნეხი დანადგარის მოცულობის მიხედვით იყოფა 20 კუბ.მ. 13 კუბ.მ. 7 კუბ.მ. სპეცმანქანებად და გამოიყენება მომსახურების გაწევის ტერიტორიის სპეციფიკიდან გამომდინარე. ბულვარსა და ძველ ბათუმში 7კუბ.მ. მოცულობის სპეცმანქანები, ფართე ქუჩებსა და გზატკეცილებზე 20 კუბ.მ. მოცულობის სპეცმანქანები, შუახევში, ხულოსა თუ ბეშუმში 13 კუბ.მ. მოცულობის ორხიდიანი სპეცმანქანები, ხოლო სამშენებლო და დიდგაბარიტიანი ნარჩენების გამოსატანად საპრესი მოწყობილობის არმქონე ნაგავმზიდები (თვითმცლელები) გამოიყენება. საერთო ჯამში შპს „სანდასუფთავება“ აღნიშნული მიზნების შესასრულებლად შემდეგ ნაგავმზიდ სპეცტექნიკას იყენებს:

	transportis saxeoba	modeli	satransporto saSualebis sax. nomeri	gamoS-vebis weli	ძარის მოცულობა კუბ.მ.
1	უკანა ჩატვირთვის სისტემის საპრესი მოწყობილობის მქონე ნაგავმზიდები	FORD CARGO 1824	RM209MR	2008	13
2		FORD CARGO 1824	ALI 237	2008	13
3		FORD KARGO 1826DC	WWS 503	2010	13
4		FORD KARGO 1826DC	WWS 508	2010	13
5		FORD KARGO 2532	BBQ 984	2012	20
6		FORD KARGO 2532	BBQ 982	2012	20
7		FORD KARGO 2526	CCS 081	2013	20
8		FORD KARGO 1826	CCS 082	2013	13
9		FORD KARGO 1833	MH468HM	2016	13
10		FORD KARGO 1833	MH469HM	2016	13
11		FORD KARGO 1833	MH470HM	2016	13
12		FORD KARGO 1833	MH471HM	2016	13
13		FORD KARGO 1833	MH472HM	2016	13
14		MAN TGM 18.240	OEO 482	2012	13
15		MAN TGM 18.240	ILL 731	2012	13
16		ISUZU NPR 75 K24	FFI 613	2014	7
17		ISUZU NPR 75 K24	FFI 614	2014	7
18		ISUZU NPR 75 K24	CC293GG	2015	7
19		ISUZU NPR 75 K24	CC296GG	2015	7
20		FORD TRANSIT 470EL	ND 057 ND	2016	4
21		FORD TRANSIT 470EL	ND 058 ND	2016	4
22	საპრესი მოწყობილობის არმქონე ნაგავმზიდები	ISUZU NPR 75 K24	CC294GG	2015	8
23		ISUZU NPR 75 K24	CC295GG	2015	8
24		ISUZU NPR85H	ILL 709	2012	8
25		ISUZU NQR	MJM-389	2006	4
26		FORD CARGO	MK-454-KM	2013	6

შპს „სანდასუფთავება“ უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს რეგიონში განთავსებულ 3500-მდე მიწისზედა, 67 მიწისქვეშა ნაგავშემკრებელი კონტეინერების და 1100 დეკორატიული ურნის დროულად გაცლასა და ნარჩენების ტრანსპორტირებას ნაგავსაყრელამდე. ამასთან ეტაპობრივად მიმდინარეობს ქალაქში უნებართვოთ წარმოქმნილი ნაგავსაყრელების ლიკვიდაცია. შპს დისპეჩერიის სამსახურის, სარემონტო და სამრეცხაო საამქროების ერთობლივი კოორდინირებული მუშაობა უზრუნველყოფს შპს „სანდასუფთავების“ ეფექტურ და სწრაფ მომსახურებას თანამედროვე პრინციპებისა და მიდგომების შესაბამისად.

ნარჩენების შეგროვებისა თუ ტრანსპორტირების სისტემის წარმატებული მუშაობა დამოკიდებულია მისი ცალკეული კომპონენტების მდგომარეობაზე. სათანადო ტექნიკური მომსახურების გარდა, ჩვენი ორგანიზაცია ცდილობს გააჩნდეს საკმარისი სარეზერვო აღჭურვილობა, რომელიც უზრუნველყოფს შეგროვების თითოეული ციკლის შესრულებას მომსახურების გრაფიკის მინიმალური დარღვევითა თუ ცვლილებით და მინიმალური ძალისხმევით. მარშრუტების სათანადო დაგეგმარებას, ეფექტიან ოპერირებას. პრევენციულ ტექნიკურ მომსახურებასა და სარემონტო სამუშაოებს წვლილი შეაქვთ ტექნიკის გრძელვადიანი პროდუქტიულობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში.

განსახორციელებელი ღონისძიებები:

ღონისძიებები, რომლებიც განხორციელდება ნარჩენების მართვის პროცესში არასასურველი გარემოებების, როგორცაა ხმაური, სუნი და სხვა მავნე ეფექტები თავიდან ასაცილებლად;

ამ მიზნით 2018 წლიდან დაწყებულია ძველი, რკინის 800 და 1100 ლიტრიანი კონტეინერების ჩანაცვლება ახალი ევროპული წარმოების პლასტმასის ე.წ. ორ სახურავიანი კონტეინერებით. რკინის კონტეინერები გაცლისას იწვევდა ხმაურს, მოუხერხებელი იყო არა მარტო დაცლისას არამედ ნარჩენების მოთავსების დროსაც, ვინაიდან დიდი, მძიმე სახურავის გადახდა შეუძლებელი იყო ბავშვებისა და ქალებისათვის, ამიტომ გვიწევდა სახურავის გადახდილი დატოვება, რაც თავის მხრივ იწვევდა მძაფრი სუნის გავრცელებას და იზიდავდა მწერებს. ახალი კონტეინერები თითქმის ყველა ამ პრობლემას მოაგვარებს. პროექტით გათვალისწინებულია 2020 წლისათვის ქალაქის მთელს ტერიტორიაზე ჩანაცვლდეს რკინის კონტეინერები ახლით.

ნაგავშიდებს ყოველდღიურად ხედავს მუნიციპალიტეტის მოსახლეობა, ისინი გარკვეულწილად ეფექტიანი მომსახურების განსახიერებას წარმოადგენენ. ამიტომ საწარმოში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ტრანსპორტის სისუფთავეს და ვიზუალურ მდგომარეობას. მოხდება უსახური ავტოტრანსპორტის გადაღება, ყოველდღიურად სპეციალური საშუალებებით და ცხელი ჭავლით გაირეცხება მარშრუტზე გასული ყველა მანქანა.

ნარჩენების მართვის ახალი პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი სიახლე სატრანსპორტო საშუალებების და დანადგარების მუდმივი რემონტის რეჟიმიდან პრევენციულ ტექნიკურ მომსახურებაზე გადასვლაა, რაც გულისხმობს:

1. ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და აღჭურვილობის პერიოდული შემოწმებას ისეთი მდგომარეობის გამოსავლენად, რომელმაც შეიძლება გაუმართაობა ან საშიში ცვეთა გამოიწვიოს
2. მცირე სარემონტო სამუშაოების ჩატარებას შემდგომი გართულებების თავიდან ასაცილებლად
3. ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და აღჭურვილობის ნაწილების შეცვლა, კორექტირება, კაპიტალური რემონტი და შემოწმება წინასწარ დაგეგმილი გრაფიკითა და პერიოდულობით აღნიშნული საშუალებების ოპტიმალურ სამუშაო მდგომარეობაში შენარჩუნების მიზნით
4. ტექნიკის ექსპლუატაცია სათანადოდ და საპროექტო შესაძლებლობის ფარგლებში.

ტექნიკური მომსახურების ეფექტიანი პროგრამა პრევენციულ და სარემონტო ტექნიკურ მომსახურებას რეგულარული საოპერაციო პროცედურის შემადგენელ ნაწილად განიხილავს. თუმცა, ტექნიკური მომსახურების გეგმაში განსაკუთრებული ადგილს პრევენციული ტექნიკური მომსახურების პროცედურები დაიკავებს, რომლებიც მინიმუმამდე შეამცირებს აუცილებელი რემონტის დონეს. აქვე აღსანიშნავია, რომ პრევენციული ტექნიკური მომსახურების სამუშაოები წინასწარ დაგეგმილი და დროში გაწერილი იქნება, რაც ამ სამუშაოების გრაფიკის შედგენის შესაძლებლობას მოგვცემს.

პრევენციული ტექნიკური მომსახურების პროგრამა სამ კატეგორიად დიყოფა და განისაზღვრება თითოეულ პროგრამაზე პასუხისმგებელი პირი:

- 1) მონიტორინგი, შემოწმება და ტესტირება (მექანიკოსი),
- 2) რუტინული მოვლითი სამუშაოები (დისპედჩერიის სამსახურის უფროსი, მძღოლები)
- 3) ფიქსირებული და სხვადასხვა ინტერვალებით ჩასატარებელი სამუშაოები (სარემონტო საამქროს უფროსი).

შპს „სანდასუფთავება“ ყოველწლიურად 400 ათას ლიტრზე მეტ საწვავს მოიხმარს, ამიტომ პროგრამის პრიორიტეტებში საწვავის ხარჯვის ყოველდღიური მონიტორინგი და ეკონომიის ახალი საშუალებების ძიებაა. დაგეგმილია ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სპეციალისტების მოწვევა საწვავის ხარჯვის ნორმების კიდევ ერთხელ გადასამოწმებლად, უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს სპეცტექნიკის მოძრაობის ოპტიმალურ გრაფიკებზე და მარშრუტებზე მუშაობა.

ყოველწლიურად ნარჩენების მობილიზების მაჩვენებელი 5-10%-ით იზრდება წინა წელთან შედარებით. აღნიშნული მატება და სარეზერვო ავტოპარკის არსებობის აუცილებლობა გვაიძულებს ყოველწლიურად გავზარდოთ და განვაახლოთ არსებული ავტოპარკი. 2019 წელს

დაგეგმილია 2 ერთეული 7 კუბ.მ. მოცულობის ნაგავმზიდის ნაგავმზიდი სპეცმანქანის შეძენა, 2 ერთეული მინი თვითმცლელისა და 7 ერთეული მსუბუქი ავტომანქანის შეძენა.

მნიშვნელოვანი სიახლეები იგეგმება ნარჩენების სეპარირების მხრივ. ამ მიზნით უნდა მოხდეს არსებული მდგომარეობის შეფასება და სეპარირებაზე გადასვლის ღონისძიებების დაგეგმვა, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება.

აქტიურად გაგრძელდება მუშაობა ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი უკანონო ნაგავსაყრელების აღრიცხვა-ინვენტარიზაციის, საინფორმაციო ბაზის განახლების და დანაგვიანებული უბნების ეტაპობრივი გაწმენდის მიმართულებით.

გაგრძელდება ბათუმის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ არხებზე და მდინარეებზე ნაგავდამჭერი ბადეების მონტაჟი, დემონტაჟი შეკეთება, და მონიტორინგი.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების მართვა

N	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკის მართვის მექანიზმი
1	სპეცტექნიკის მწყობრიდან გამოსვლა	3	5	სათადარიგო ნაწილების ოპტიმალური მარაგის შექმნა, სათადარიგო ავტოტრანსპორტის არსებობა
2	ნარჩენების მოცულობის სეზონური მატება	2	4	ზაფხულის სეზონისთვის მომზადება (ავტოპარკის ტექ დათვალიერება, სარემონტო ნაწილების და მასალების მომარაგება და ა.შ.) ურნების სათანადო განლაგება და ავტოტრანსპორტის მოძრაობის ოპტიმალური გეგმა გრაფიკების შედგენა
3	სათადარიგო ნაწილების შეფერხებით მოწოდება	3	4	შესყიდვების დროული დაგეგმვა, მარაგების ყოველთვიური მონიტორინგი

სამოქმედო გეგმა

N	განსახორციელებელი ღონისძიებები	I კვარ.			II კვარ.			III კვარ.			IV კვარ.		
1	სავტომობილო პარკის შევსება სპეც. ტექნიკით	X			X	X							
2	ნაგავშემკრები კონტეინერების შეძენა		X	X	X								
3	ავტოტრანსპორტის და დამხმარე ტექნიკური საშუალებების სათადარიგო ნაწილებით მომარაგება	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
4	ყოველწლიური ტექნიკური დათვალიერებისათვის სატრანსპორტო საშუალებების მომზადება ტექ. დათვალიერების გავლა	X				X							
5	პრევენციული ტექნიკური მომსახურების დანერგვა და შედეგების ანალიზი	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
6	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე											X	

	წარმოქმნილი ნარჩენების მონაცემთა საინფორმაციო ბაზის ჩამოყალიბება												
7	სატრანსპორტო საშუალებების საწვავის ხარჯვის დადგენა მოტორესურსის გათვალისწინებით. (ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო)				X								
8	საოფისე კონტეინერის შეძენა	X	X										
9	ნარჩენების მართვის დანერგილი სისტე-მის ანალიზი, ახალი გეგმა-გრაფიკების შედგენა და სპეცტექნიკის მოძრაობის ოპტიმალური მარშრუტების დაგეგმვა	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
10	მდინარეებზე არსებული ნაგავდამჭერების მონიტორინგი, მონტაჟი, დემონტაჟი და შეკეთება	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

2. ქალაქ ბათუმის დაგვა-დასუფთავების გეგმა

ქალაქის ტურისტული პოტენციალის ამაღლებასა და თანაქალაქელებისათვის კომფორტული გარემოს შექმნაში უდიდესი როლი „სუფთა ქალაქის“ კონცეფციის განხორციელებას უკავია. ჩვენი მიზანია ერთი მხრივ უზრუნველყოთ მთელი ქალაქის ყოველდღიური დასუფთავება და მეორე მხრივ ცნობიერების ამაღლების თუ მოქალაქეებისათვის სხვადასხვა სანქციების დაწესების გზით შევინარჩუნოთ სანიტარული მდგომარეობა.

გეგმის მიზანია ქალაქ ბათუმში ქუჩების, ტროტუარების, მოედნების, პარკების, სკვერების, ეზოების, მწვანე ზოლის და შავი ზღვის სანაპიროს სანიმუშო სანიტარული მდგომარეობის მიღწევა.

აღწერა

გეგმა მოიცავს ქალაქ ბათუმის 3 მილიონი კვ.მ. ქუჩების, ტროტუარებისა და მოედნების ასევე ბათუმის ბულვარის, ცენტრალური პარკის და 250 ათასი კვ.მ. მწვანე ზოლის ყოველდღიურ დასუფთავებას, 800 ათას კვ.მეტრზე მეტი ეზოების ფართის თვეში სამჯერ დასუფთავებას, 600 ათას კვ.მ.-ზე მეტი სანაპირო ზოლის დასუფთავებას სეზონურად მაისიდან სექტემბრის ჩათვლით ყოველდღიურად, ხოლო 7 თვის განმავლობაში თვეში 3 -ჯერ.

სამსახური, ქალაქის ქუჩების დასუფთავებას ყოველდღიურად დილის 5 საათზე იწყებს და 9 საათისთვის ასრულებს. იმისათვის, რომ ქალაქის ძირითად ქუჩებსა და მოედნებზე მთელი დღის განმავლობაში სისუფთავე იყოს შენარჩუნებული 13.00 საათიდან მეორე ცვლაში იწყება მუშაობა და 17.00 საათამდე გრძელდება. სამსახურის მორიგე ჯგუფები განაახორციელებენ დასუფთავების სამუშაოებს. ამას გარდა სამსახურში შექმნილია 20 კაციანი მობილური ჯგუფი, რომელიც სპეციალურად გამოყოფილი ტრანსპორტით გადაადგილდება და განსაკუთრებით დანაგვიანებული უბნების დასუფთავებას, ასევე ქალაქში დაგეგმილი სხვადასხვა ღონისძიებების სუფთა გარემოში ჩატარებას უზრუნველყოფს.

ეზოების დასუფთავებაზე 18 კაციანი ორი ჯგუფი მუშაობს, რომლებიც წინასწარ შედგენილი გრაფიკის შესაბამისად უზრუნველყოფენ დისლოკაციით გათვალისწინებული ეზოების ყოველ მე-10 დღეს დასუფთავებას.

შავი ზღვის სანაპიროს დასუფთავებისთვის 1 მაისიდან მოხდება 40 მეეზოვის დამატება, რომლებიც გადანაწილდებიან ბათუმის ბულვარის, გონიოს, კვარიათის, მახინჯაურის, მწვანე კონცხის და ჩაქვის სანაპიროებზე. ისინი სამუშაოს დილის 5 საათიდან დაიწყებენ და 08.30 საათისთვის დამსვენებლებს დასუფთავებულ სანაპიროს დაახვედრებენ.

ღონისძიებები

საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო დაფინანსებას შპს „სანდასუფთავება“ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის და სსიპ „ბათუმის ბულვარ“-ის მიერ გამოცხადებული

ტენდერების შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულებების შესრულებით მოიპოვებს. ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ ტენდერებისათვის სათანადოდ მომზადება და შემსყიდველებისთვის ოპტიმალური ტარიფების შეთავაზება.

2017-2018 წლებში ქალაქ ბათუმში ინტენსიურად მიმდინარეობდა და მიმდინარეობს ქუჩების კეთილმოწყობის ღონისძიებები, შესაბამისად მოწესრიგებული ქუჩები მოითხოვს ყოველდღიურ დაგვა-დასუფთავებას, რაც თავის მხრივ ახალი დისლოკაციების შედგენის და დამტკიცების აუცილებლობას წარმოქმნის. დაგვა-დასუფთავების სამუშაოების ოპერატიულად და მაღალი ხარისხით ჩატარებისათვის ქალაქის ტერიტორია 3 სამსახურად დაიყო და 2018 წლის დეკემბერსა 2019 წლის იანვარში დაგეგმილია ახალი დისლოკაციების შემუშავება და დამტკიცება.

გეგმის განსახორციელებლად ასევე მნიშვნელოვანია შესყიდვების დროული განხორციელება. გარდა იმისა, რომ ცოცხის და აქანდახის გარეშე შეუძლებელია დაგვა-დასუფთავება, ჩვენი მეუზოვეების უსაფრთხოებისათვის აუცილებელია სპეცტანსაცმლის შესყიდვა, რომლებიც სპეციალური ამრეკლებით იქნება გაწყობილი.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების მართვა

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში დამარცხება	1	5	ბაზარზე არსებული სიტუაციის მონიტორინგი, ოპტიმალური ფასის შეთავაზება.
2	მეუზოვეების ნაკლებობა	3	5	2018 წელს გაიზარდა მეუზოვეების ხელფასი 10% და დაგეგმილია ხელფასის მატება 2019 წელსაც. მატერიალური წახალისების ახალი სისტემის დანერგვა.
3	ტენდერების დროული ჩატარება და ხარისხის კონტროლი	2	5	2019 წლის შესყიდვების გეგმის დროულად დამტკიცება; სპეცინვენტარის და სპეცტანსაცმლის შესასყიდად ტენდერების გამოცხადება. საცოცხე მასალის და სხვა სპეცინვენტარის მარაგის
4	სტიქიური მოვლენები (წყალდიდობა, შტორმი)	3	3	ოპერატიულად მოხდეს მეუზოვეების და ტექნიკის მობილიზება საგანგებო სიტუა-ციების მართვის ადგილობრივი ოპერა-ტიული ცენტრის მიერ დამტკიცებული სამოქმედო გეგმის შესაბამისად

განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
2019	ქალაქ ბათუმში ქუჩების, ტროტუარების, მოედნების, პარკების, სკვერების და ეზოების დასუფთავება.	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
2019	სანაპირო ზოლის დასუფთავება სეზონურად ყოველდღიურად					X	X	X	X	X			
2019	სპეცინვენტარის შესაძენად ტენდერების ჩატარება	X											
2019	სპეცტანსაცმლის შესაძენად ტენდერების ჩატარება		X	X									
2019	დისლოკაციების შემუშავება და დამტკიცება	X											

3. დერატიზაცია-დეზინსექციის სერვისის გაუმჯობესება

გეგმის მიზანი ქალაქის მთელს ტერიტორიაზე მღრნელებისა და მწერების წინააღმდეგ ბრძოლის თანამედროვე ღონისძიებების განხორციელების გზით ჩვენი ქალაქის სტუმრებისა თუ ადგილობრივი მოსახლეობისთვის კომფორტული გარემოს შექმნაა. ვინაიდან ქალაქ ბათუმში დაქაობებული ტერიტორიებისა და კლიმატის თავისებურებების გამო კოლოს და სხვა მწერების გავრცელების ნოყიერი ნიადაგია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მწერებისა და მღრნელების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურად განხორციელებას.

პროგრამის განხორციელების შედეგად განსაკუთრებულ რისკის ზონებში მწერების მნიშვნელოვან შემცირებას და უპირველესად ზაფხულის ტურისტულ სეზონზე დამსვენებლებისათვის კომფორტული გარემოს შექმნას ვისახავთ.

აღწერა

- ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე 750 მრავალსართულიანი (3 სართული და მეტი) სახლების სარდაფების და სადარბაზოების დეზინსექცია თვეში ორჯერ მაისი-ოქტომბერის პერიოდში.
- 200-ზე მეტი იტალიური ეზოს (ერთი და ორსართულიანი მრავალბინიანი სახლების ეზოებისა და სარდაფების დეზინსექცია თვეში ერთჯერ იმავე პერიოდში.
- მთელი წლის განმავლობაში ქალაქის ტერიტორიაზე განთავსებული 1100 კორპუსის სარდაფების და მიმდებარე ტერიტორიის დერატიზაცია თვეში ერთჯერ.
- ნაგავშემკრები კონტეინერების დეზინსექცია ყოველთვიურად.
- 75000 კვ.მ. ტერიტორიის ქვეწარმავლების საწინააღმდეგო სპეციალური პრეპარატებით დამუშავება, წერტილოვანი ან ხაზობრივი დასხურების მეთოდით, პრეპარატის შესხურებას დასაცავი ტერიტორიის, შენობა-ნაგებობების და სათავსოების გარშემო.
- ქვეწარმავლების დაჭერა, ტრანსპორტირება და დაუსახლებელ ტერიტორიაზე გაშვება მომართვიანობის საფუძველზე.

ამ სამუშაოს შესასრულებლად შპს „სანდასუფთავებას“ გააჩნია 2 სათანადოდ აღჭურვილი და გამოცდილი ეკიპაჟი, რომლებიც უზრუნველყოფენ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე სადეზინსექციო სამუშაოების შესრულებას.

დერატიზაციის სამუშაოებზე დასაქმებულია მრავალწლიანი გამოცდილებითა და ცოდნით გამორჩეული 6 დერატიზატორი.

ღონისძიებები

ჩვენი საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო დაფინანსებას შპს „სანდასუფთავება“ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებული ტენდერის შესაბამისად გაფორმებული და სხვადასხვა კომერციული ხელშეკრულების შესრულებით მოიპოვებს. ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ ტენდერისათვის სათანადოდ მომზადება და

შემსყიდველებისთვის ოპტიმალური ტარიფების შეთავაზება.

ბოლო წლებში ქალაქ ბათუმში ინტენსიურად მიმდინარეობდა და მიმდინარეობს მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების, სასტუმროების, რესტორნების მშენებლობა, რაც დერატიზაცია-დეზინსექციის მომსახურებაზე მზარდ მოთხოვნას იწვევს. ჩვენი მიზანია ყველა პოტენციური შემკვეთის მოთხოვნა დავაკმაყოფილოთ. ამისათვის შევიძენეთ ე.წ. უსუნო პრეპარატებს შენობების, დახურული სივრცეების დეზინსექციისათვის. ასევე 2018 წელს დავიწყეთ და 2019 ინტენსიურად გავაგრძელებთ მუშაობას დეზინფექციის შეკვეთების მოსაპოვებლად.

კომერციული ხელშეკრულებების გაფორმებაში განსაკუთრებით დიდ პრობლემას გვიქმნის არაკეთილსინდისიერი კონკურენცია. ზოგიერთი კომპანია შეკვეთის მიღების მიზნით ფასების ხელოვნურად დაწევას მიმართავს და შესაბამისად უხარისხო, უვარგისი პრეპარატებით ახდენს სამუშაოების შესრულებას.

აქედან გამომდინარე მნიშვნელოვან ღონისძიებებს ვგეგმავთ პოტენციური შემკვეთებისათვის ჩვენი შესაძლებლობებისა და გამოცდილების გასაცნობად. შპს „სანდასუფთავება“-ში შეიქმნა კომერციული სამსახური, რომელიც აქტიურად იმუშავებს ამ მიმართულებით.

გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების მართვა

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში წარუმატებლობა	1	5	ბაზარზე არსებული სიტუაციის მონიტორინგი, ოპტიმალური ფასის შეთავაზება.
2	სპეცსაშუალებების ტენდერების დროული ჩატარება და ხარისხის კონტროლი	2	5	2019 წლის შესყიდვების გეგმის დროულად დამტკიცება; დეზინსექცია-დერატიზაციის პრეპარატების შესაძენი ტენდერის დროულად ჩატარება პრეპარატების მარაგების შექმნა
3	სხვადასხვა ობიექტებთან კომერციული ხელშეკრულებების გაფორმების შეფერხება დიდი კონკურენციის და არაკეთილსინდისიერი მიმწოდებლების ფონზე.	4	3	შემკვეთებისათვის სპეციალური კატა-ლოგების გაცნობა, სადაც აღწერილი იქნება ჩვენს მიერ გამოყენებული პრეპარატები. შემკვეთებისათვის ჩვენს მიერ გაწეული სამუშაოების და შედეგების გაცნობა.

სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	I კვარ.			II კვარ.			III კვარ.			IV კვარ.		
2019	ქალაქის ტერიტორიის დერატიზაცია	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
2019	ნაგავშემკრები კონტეინერების დეზინსექცია	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
2019	მრავალსართულიანი (3 სართული და მეტი) სახლების სარდაფების, სადარბაზოების და დაჭაობებული ტერიტორიების დეზინსექცია					X	X	X	X	X	X		
2019	ქვეწარმავლების საწინააღმდეგო სპეციალური პრეპარატებით დამუშავება, წერტილოვანი ან ზაზობრივი დასხურების მეთოდით,	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
2019	სხვადასხვა კომერციულ, თუ სახელმწიფო ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობა დერატიზაცია, დეზინსექცია დეზინფექციის კომერციული მომსახურების მიწოდების მიზნით	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
2019	ტენდერის ჩატარება სპეციალური სადერატიზაციო და სადეზინსექციო საშუალებების შესაძენად	X	X										

4. სახიფათო სამედიცინო ნარჩენები გაუვნებელყოფის პროგრამა „უსაფრთხო გარემო“

პროგრამის მიზანია მოქმედი სამკურნალო, სამედიცინო დაწესებულებებში წარმოქმნილი სახიფათო სამედიცინო ნარჩენების მართვა „ნარჩენების მართვის კოდექსისა“ და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 16 ივნისის №294 დადგენილებით დამტკიცებული „სამედიცინო ნარჩენების მართვის“ ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად.

პროგრამის აღწერა

სამედიცინო ნარჩენები მოიცავს ყველა სახის ნარჩენებს, რაც წარმოიქმნება სამედიცინო დაწესებულებების, სამედიცინო და ვეტერინარული ლაბორატორიების, სამედიცინო კვლევითი ცენტრების, მზრუნველობის დაწესებულებების, ფარმაცევტული საწარმოებისა და საწყობების მიერ. სამედიცინო ნარჩენები იყოფა სარისკო და არასარისკო კატეგორიებად, ხოლო სარისკო ნარჩენები თავის მხრივ მოიცავს - ინფექციურ ნარჩენებს, ბასრ საგნებს, პათოლოგიურ-ანატომიურ ნარჩენებს და ფარმაცევტულ ნარჩენებს.

შპს „სანდასუფთავება“ 2009 წლიდან ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიასა და გურიის რეგიონში მოქმედი სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებებიდან: კერძოდ საავადმყოფოებიდან, პოლიკლინიკებიდან, სასწრაფო დახმარების სადგურებიდან, სამედიცინო პროფილის კვლევითი ინსტიტუტებიდან, სამედიცინო ლაბორატორიებიდან, სტომატოლოგიური კლინიკებიდან, სილამაზის სალონებიდან შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე სარისკო (სამედიცინო) ნარჩენების გატანას, ტრანსპორტირებას და ინსინერაციას სამედიცინო-ბიოლოგიური ნარჩენების თერმული გაუვნებელყოფის საწარმოში/ინსინერატორში/.

ზემოთ აღნიშნული საქმიანობის განსახორციელებლად შპს „სანდასუფთავებას“ გააჩნია ნარჩენების შესაგროვებლად საჭირო სპეციალური ტექნიკა, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით გავლილი აქვს ტექნიკური დათვალიერება და გააჩნია სპეციალური დაშვების მოწმობა განსაზღვრული სახიფათო ტვირთების გადაზიდვაზე, სხვადასხვა ზომის სპეცკონტეინერები, რომლებიც აღჭურვილია საშიშროების კლასის აღმნიშვნელი ნიშნით (ეტიკეტით), ინსინერატორი, სადაც კანონმდებლობით დადგენილი წესით ხდება ნარჩენების განადგურება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოს გააჩნია 10 წლიანი გამოცდილება ამ სფეროში, პერსონალის მაღალი კვალიფიკაცია, მძღოლებს გავლილი აქვთ სერტიფიცირება საავტომობილო ტრანსპორტით სახიფათო ტვირთების გადაზიდვაზე, ყავს შესაბამისი კვალიფიკაციის გარემოსდაცვითი მმართველი.

მიმდინარე წლის აპრილის თვეში შპს „სანდასუფთავებამ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, ნარჩენების მართვის კოდექსის 26-ე მუხლის შესაბამისად, დაარეგისტრირა სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების

საქმიანობა და ნარჩენების მართვის კოდექსის 29-ე და 30-ე მუხლების შესაბამისად ყოველდღიურად აწარმოებს სახიფათო სამედიცინო ნარჩენების წარმოქმნილი ობიექტებიდან ნარჩენების აღრიცხვის და ანგარიშგების განხილვას და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საიტზე ნარჩენების მართვის ელექტრონულ სისტემაში ონლაინ ელექტრონულ დადასტურებას, რის შემდეგაც იბეჭდება შესაბამისი სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირების ფორმები დანართების სახით. ასევე მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს სახიფათო ნარჩენების მონაცემთა ბაზის ფორმირება და ახალი ობიექტების რეგისტრაცია შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

დღეისათვის შპს „სანდასუფთავება“ ემსახურება 200-მდე სამკურნალო პროფილაქტიკურ დაწესებულებას, საავადმყოფოს, სტომატოლოგიურ კლინიკებს და სილამაზის სალონებს. სადაც წარმოქმნილი სახიფათო სამედიცინო ნარჩენის რაოდენობა ყოველთვიურად 13-14 ტონას აღწევს. ჩვენს მიერ გამოტანილი სახიფათო სამედიცინო ნარჩენების ინსინერატორში განადგურების შედეგად გამოირიცხება გარემოს დაბინძურება და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედება.

განსახორციელებელი ღონისძიებები

სახიფათო სამედიცინო ნარჩენების ეფექტურად გაუვნებელყოფისათვის დაგეგმილია ახალი, დიდი წარმადობის ინსინერატორის შეძენა, რომელიც შეძლებს სრულად მოხსნას რეგიონში სამედიცინო ნარჩენების მართვის პრობლემები.

2019 წლისთვის შეძენილ იქნება სათადარიგო სპეც. ავტომობილი, რომელიც სახიფათო სამედიცინო ნარჩენების ტრანსპორტირებისათვის იქნება, გაივლის ტექნიკურ დათვალიერებას და მიიღებს სპეციალურ დაშვების მოწმობას განსაზღვრული სახიფათო ტვირთების გადაზიდვაზე.

კონტრაქტორებისათვის მომსახურების კონკურენტული ფასის შესათავაზებლად და ზოგადად ეფექტური მუშაობისათვის 2019 წლის განმავლობაში განხორციელდება ჩვენს საკუთრებაში არსებული სამედიცინო-ბიოლოგიური ნარჩენების თერმული გაუვნებელყოფის საწარმოს (ინსინერატორის) მნიშვნელოვანი გადაიარაღება. კერძოდ ინსინერატორი ამჟამად დიზელის საწვავზე მუშაობს, ხოლო ძირითადი სანთურების ბუნებრივ აირზე გადაყვანა მნიშვნელოვან ხარჯების დაზოგვის საშუალებას მოგვცემს.

2019 წლისთვის დაგეგმილია ასევე ინსინერატორის შენობის კაპიტალური შეკეთება. აღნიშნული შენობა 10 წლიანი ექსპლუატაციის შედეგად მნიშვნელოვნად დაზიანდა, მოსაწყობია იქ მომუშავე პერსონალისათვის სანიტარული კვანძი და მოსასვენებელი ოთახი. ჩვენს მიერ უკვე შეძენილია ხარჯთაღრიცხვა და მიმდინარე წლის ბოლომდე გამოცხადდება ტენდერი სამუშაოების შესასრულებლად.

2019 წელს მოქმედ ინსინერატორს, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად 4-ჯერ ჩაუტარდება კვლევები სპეციალიზირებულ ლაბორატორიულ კვლევით ცენტრში ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის დასადგენად.

პერსონალს, რომელსაც კავშირი აქვს სამედიცინო ნარჩენების შეგროვება, ტრანსპორტირება და უტილიზაციასთან 2019 წლის განმავლობაში 2-ჯერ ჩაუტარდება შესაბამისი ინსტრუქტაჟი სახიფათო სამედიცინო ნარჩენებთან უსაფრთხო მოქმედების, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების, პირადი ჰიგიენის წესების დაცვის, ავარიული სიტუაციების დროს სახიფათო სამედიცინო ნარჩენებთან კონტაქტისას ტრავმული დაზიანების თავიდან აცილების, სახიფათო ნარჩენების დაპნევის, დაღვრის და სხვა შესაბამისი მოქმედებებისას გასატარებელი ღონისძიების შესახებ.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების მართვა

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	მოქმედი ინსინერატორის მწყობრიდან გამოსვლა	3	5	ახალი ინსინერატორის შეძენა სათადარიგო სანთურების შეძენა
2	სახიფათო სამედიცინო ნარჩენების გადამმზიდავი ავტომანქანის გაუმართაობა	3	5	სათადარიგო ავტომანქანის შეძენა

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
2019	ჰაერის ლაბორატორიული კვლევა		X			X			X			X	
2019	ახალი ინსინერატორის შეძენა და დამონტაჟება	X	X										
2019	ინსინერატორის შენობის კაპიტალური შეკეთება	X	X										
2019	სახიფათო სამედიცინო ნარჩენების ტრანსპორტირებისათვის სათადარიგო ავტომობილის შეძენა	X	X										
2019	ნარჩენების წარმომქმნელი ობიექტე-ბიდან ნარჩენების ანგარიშგების განხილვა და ნარჩენების მართვის ელექტრონულ სისტემაში ონლაინ ელექტრონული დადასტურება	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
2019	სახიფათო სამედიცინო ნარჩენების გადატვირთვაზე დასაქმებული პერსონალის ჯანმრთელობის ლაბორატორიული კვლევები					X							
2019	სამედიცინო დაწესებულებების თანამშრომელთა ტრენინგების ორგანიზება/ჩატარება	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

5. დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირებისა და ამოღების გაუმჯობესების ღონისძიებები

პროგრამის მიზანია ყველა იმ ფიზიკური და/ან იურიდიული პირების სრული აღწერა და რეგისტრაცია დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადამხდელთა ბაზაში, რომლებიც ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე წარმოქმნიან საყოფაცხოვრებო ნარჩენებს. ასევე მათ მიმართ რიცხული მიმდინარე და არსებული დავალიანებების ამოღების ღონისძიებები, რომლის მიზანიც არის ადგილობრივ ბიუჯეტში დასუფთავების მოსაკრებლის შემოსულობების ეფექტური ზრდა.

პროგრამის აღწერა

გამომდინარე იქედან, რომ ინტენსიურად ხდება ქალაქის ტერიტორიაზე როგორც საყოფაცხოვრებო, ასევე არასაყოფაცხოვრებო ფართზე როგორც მესაკუთრეთა, ასევე დაანგარიშების ერთეულის, ეკონომიკური საქმიანობის დაწყება/შეჩერება და ეკონომიკური სამეწარმეო საქმიანობის ტიპის ცვლილება სპს „სანდასუფთავებაში“ შეიქმნა ახალი სამსახური, რომელიც უზრუნველყოფილ იქნა შესაბამისი საჭირო რესურსით, რაც მისცემდა საშუალებას, სწრაფი და ეფექტური რეაგირება მოეხდინა ზემოთ აღნიშნულ გარემოებებთან მიმართებაში, რაც თავისთავად გულისხმობს:

ქალაქის ტერიტორიაზე დაურეგისტრირებელი (არასაყოფაცხოვრებო) ობიექტების აღწერა;

დარეგისტრირებულ (არასაყოფაცხოვრებო) აბონენტთა გადამოწმება არსებულ ბაზაში და აუცილებლობის შემთხვევაში შესაბამისი კორექტირებების შეტანა შესაბამისი შემოწმების აქტის საფუძველზე;

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის და ასევე სს „ენერგო პრო ჯორჯიას“-თან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე მოხდება საყოფაცხოვრებო ფართებზე დარეგისტრირებულ და დაურეგისტრირებელ აბონენტთა მონაცემებში დაანგარიშების ერთეულებში (სულადობის რაოდენობაში) ცვლილებების განხორციელება, რაც მონაცემთა ბაზაში უფრო სრულყოფილს გახდის.

განსახორციელებელი ღონისძიებები

პროგრამის აღწერის მთელი ჩამონათვალი მოიცავს მუდმივ პროცესს და ამიტომ მიზანშეწონილია მოსაკრებლის ადმინისტრირების სამსახურში არსებულ მობილური ჯგუფები, რომელიც დაკომპლექტებულია 2-2 კაციანი კონტინგენტით, აღჭურვილი იქნეს შესაბამისი ტექნიკური და სხვა მატერიალური რესურსით, რაც უფრო სწრაფს, ზუსტს და ეფექტურს გახდის მათ მიერ შესრულებულ სამუშაოს;

დავალიანებების მქონე ფიზიკურ და/ან იურიდიულ პირებზე შეტყობინებების დაგზავნა დავალიანების დაფარვის მიზნით, მათ შორის საშეღევათო პირობების გათვალისწინებით, რაც

გულისხმობს დავალიანების ეტაპობრივ (მაქსიმალური პერიოდი განსაზღვრული 12 თვის ვადით) დაფარვას;

იმ მსხვილი და საშუალო დავალიანებების მქონე აბონენტთა სიის მომზადება, რომლებიც პასიურ გადამხდელთა კატეგორიას მიეკუთვნება, შესაბამისი პროცედურების გავლით სასამართლოს გზით იძულებით ამოღება;

გამომდინარე იქედან, რომ დღეის მდგომარეობით მოსაკრებლის როგორც მიმდინარე დარიცხვის, ასევე დავალიანების ამოღების სხვა ბერკეტი არ არსებობს, იმ შემთხვევაში თუ უზენაეს სასამართლოში შეტანილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რომელიც გულისხმობს დასუფთავების მოსაკრებლის გადაუხდელობის შემთხვევაში ელექტროენერგიის მიწოდების შეზღუდვას, ასეთ შემთხვევაში მოსაკრებლის დარიცხვისა და დავალიანების თანაფარდობა 0-ს გაუტოლდება და შესაბამისად მოხდება ადგილობრივი ბიუჯეტში დასუფთავების მოსაკრებლის შემოსულებების ნაწილში მნიშვნელოვანი ზრდა.

ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2016 წლის 29 იანვრის N3 დადგენილების დანართი 2-ში, რომელშიც განსაზღვრულია დასუფთავების მოსაკრებლის დაანგარიშების ტარიფები საყოფაცხოვრებო ფართზე რიცხული ტარიფის და ასევე რიგ არასაყოფაცხოვრებო ფართზე ტარიფის და კატეგორიის ცვლილება.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების მართვა

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	სასამართლოს გზით დავალიანებების მქონე აბონენტთა თანხების ამორება	3	3	
2	არასაყოფაცხოვრებო ფართები, რომლებზეც შეჩერებულია დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვა	2	2	სისტემატიური გადამოწმება მობილური ჯგუფის მიერ
3	დაურეგისტრირებელი საყოფაცხოვრებო ფართები	3	3	სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაცია
4	მონაცემთა ბაზის დაზუსტება, რომელიც პერიოდულად ცვალებადია	4	4	სისტემატიური გადამოწმება მობილური ჯგუფის მიერ და ყოველკვარტალურად ინფორმაციის გამოთხოვა სერვისების განვითარების სააგენტოსგან
5	მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური პროგრამებით გათვალისწინებულ ბენეფიციარებზე შეღავათების გავრცელება და/ან შეჩერება	4	4	მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური სამსახურისგან ყოველთვიურად ინფორმაციის გამოთხოვა და შედარება საბაზისო მონაცემებთან
6	შემოსულია კორესპონდენციები, სადაც მოთხოვნილია აბონენტად რეგისტრაცია და/ან კორექტირება, რომელიც დაუსაბუთებელია და არ ახლავს შესაბამისი დოკუმენტაცია	3	3	მობილური ჯგუფის მიერ ადგილზე გასვლა და დეტალური აღრიცხვა შესაბამისი შემოწმების აქტის საფუძველზე

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
2019	საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო ფართებზე აბონენტთა რეგისტრაცია/კორექტირება	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
2019	დავალიანებების მქონე აბონენტთა შეტყობინების და/ან სხვა მექანიზმებით გადასახდელი თანხის დაფარვის ღონისძიებები	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
2019	გადამხდელთა ბაზის სრულყოფისა და არსებული დავალიანებების ეფექტურად ამოღების მიზნით მობილური ჯგუფების მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა	X											
2019	აბონენტთა ინფორმირება მოსაკრებლის ტარიფების, გადახდის წესის, დაანგარიშების და სხვა სავალდებულო ღონისძიებების შესახებ ფლაერების, სატელევიზიო და ინტერნეტპორტალებისა და სოციალური ქსელების საშუალებით	X			X			X			X		X

6. სერვის ცენტრის ამოქმედება და მოქალაქეებისათვის მომსახურების მიწოდების გამარტივების ღონისძიებები

შპს „სანდასუფთავება“ ქალაქ ბათუმის მოსახლეობას, კომპანიებსა თუ ორგანიზაციებს სხვადასხვა სახის მომსახურებას სთავაზობს. ჩვენი კომპანია გარდა სახელმწიფო შესყიდვებით გათვალისწინებული მომსახურებისა (ქალაქის ქუჩების, ეზოების, სანაპირო ზოლის დაგვადასუფთავება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, დერატიზაცია-დეზინსექცია და სხვა) ახორციელებს კომერციულ მომსახურებასაც- სამშენებლო და სამრეწველო ნარჩენების გატანა, სამედიცინო ნარჩენების გამოტანა და გაუვნებელყოფა, დერატიზაცია, დეზინსექცია და დეზინფექცია, ტექნიკური წყლის მიწოდება, განსაკუთრებით დაბინძურებული ტერიტორიების გადარეცხვა-დასუფთავება და სხვა. ჩვენ ასევე ვახორციელებთ ქალაქ ბათუმში დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირებას. ყველა ამ მომსახურების მიღებას ჩვენი მოქალაქეები თუ ქალაქის სტუმრები ერთი ფანჯრის პრინციპით მიიღებენ.

პროგრამის აღწერა

შპს „სანდასუფთავებას“, ჯავახიშვილის 55-ში გააჩნია ოფისი, სადაც იგეგმება სერვის ცენტრის მოწყობა. დაინტერესებული მოქალაქე სერვის ცენტრში მიიღებს ამომწურავ ინფორმაციას, როგორც შპს „სანდასუფთავების“ მიერ განხორციელებულ მუნიციპალურ პროგრამებზე, ასევე კომერციული მომსახურების ტარიფებსა და დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვის შესახებ. მოქალაქეებს ადგილზე შეეძლება კომერციულ მომსახურებაზე განაცხადის შევსება, რის შემდეგაც ჩვენი თანამშრომლები გავლენ მომსახურების გაწევის ადგილზე და გადასახადის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენისთანავე გაუწევენ მომსახურებას. ასევე ერთი განაცხადის შევსებით მოხდება მოსაკრებლის დაანგარიშებასთან დაკავშირებული პროცედურების დაწყება, ჩვენი მობილური ჯგუფი ადგილზე გავა და შესაბამისი გამოთვლების შემდეგ მოხდება ცვლილებების აღრიცხვა ბაზაში.

განსახორციელებელი ღონისძიებები

სერვის ცენტრის მოსაწყობად მნიშვნელოვანი სტრუქტურული რეორგანიზაცია უკვე განხორციელდა, შეიქმნა კომერციული სამსახური, მოსაკრებლის ადმინისტრირების სამსახური. აღნიშნული სამსახურები დაკომპლექტდა გამოცდილი და პროფესიონალი კადრებით. თუმცა თვისობრივად ახალი ფუნქციების შესასრულებლად პერსონალისათვის დაგეგმილია სწავლებების, ტრენინგების ორგანიზება.

იმისათვის, რომ ოპერატიულად მოხდეს შეკვეთების შესრულება, შემოსულ კორესპოდენციაზე რეაგირება დაწყებულია ამ სამსახურების დებულებებსა და სამუშაო ინსტრუქციებზე მუშაობა.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების მართვა

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	სერვის ცენტრის თანამშრომ-ლების დაბალი კვალიფიკაცია	3	4	ტრენინგების ჩატარება; საქმიანობის მუდმივი მონიტორინგი
2	განაცხადის შევსებიდან მომსახურების გაწევამდე დიდი დროითი შუალედი	3	3	მუდმივი მონიტორინგი მომსახურების გაწევის ხარისხზე საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ტექნიკის შეძენა

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ლონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
2019	კომერციული განაცხადის ფორმის შემუშავება და შევსების ინსტრუქციის დამტკიცება	X	X										
2019	მომსახურების ტარიფების შემუშავება და სტანდარტიზაცია	X	X	X									
2019	ტრენინგის ორგანიზება სერვის ცენტრის თანამშრომლებისთვის			X	X								
2019	მონიტორინგი მომსახურების გაწევის ხარისხსა და დროზე	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

7. პერსონალის განვითარების, შრომის დაცვისა და უსაფრთხოების პროგრამა

შპს „სანდასუფთავება“ განსაკუთრებულად სპეციფიკურ საქმიანობას ახორციელებს, გამომდინარე აქედან სამუშაო პროცესი უსაფრთხოების ზომების დაცვით უნდა ხორცილდებოდეს.

აღნიშნული პროგრამის მიზანს წარმოადგენს შპს „სანდასუფთავების“ მუშა-
მოსამსახურეთა სამუშაო ადგილზე შრომის დაცვისა და უსაფრთხოების
საკითხების არსებული და მოსალოდნელი საფრთხეების, უბედური შემთხვევებისა და
პროფესიული დაავადებების თავიდან აცილების ღონისძიებებს, დასაქმებულთა სწავლებას,
ინფორმირებას, კონსულტაციებსა და მათ თანაბარ ჩართულობას შრომის უსაფრთხოებისა და
ჯანმრთელობის დაცვის საკითხებში.

პროგრამის აღწერა

შპს „სანდასუფთავების“ ადმინისტრაცია წარმოების პროცესის მუდმივ მონიტორინგს
ახორციელებს, სწავლობს განხორციელებული ღონისძიებების გავლენას შრომის
უსაფრთხოებასა და მომუშავეთა ჯანმრთელობაზე, აკვირდება ასევე შრომის უსაფრთხოების
მიზნით განხორციელებული ღონისძიებების ეფექტურობის ხარისხს.

სანდასუფთავების პერსონალისთვის აუცილებელია უსაფრთხოების ზომების დასაცავად
სათანადო ინფორმაციის მიწოდება, მათი აღჭურვა სპეცტანსაცმლით და ინდივიდუალური
დაცვის საშუალებებით, პერიოდულად კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების გავლა.

პროგრამა მოიცავს უსაფრთხოების ზომების დაცვას თანამშრომელთა შემდეგი
კატეგორიისათვის:

- მეეზოვეები, კონტროლიორები, მეველეები-აღჭურვილი უნდა იყვნენ სამუშაო პროცესში
შესაბამისი სპეცტანსაცმლით, რომლებიც შეიცავს თვალმისაცემი შეფერილობის მქონე
ნაწილებს, რაც უზრუნველყოფს გარკვეულ წილად მათ დაცვას საგზაო შემთხვევებისგან.
- მძღოლებისათვის ყოველდღიურ რეჟიმში სამსახურეობრივ მოვალეობის დაწყებამდე
ტესტირების ჩატარება სიფხიზლეზე.
- მტვირთავებისთვის აუცილებელია პერიოდული ინსტრუქტაჟი სპეცმანქანასთან
მუშაობის უსაფრთხოების ზომების დაცვასთან დაკავშირებით.
- სარემონტო საამქროს თანამშრომელთათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ სპეცტექნიკის
გამართულ მუშაობას, საჭიროებენ პერიოდული გადამზადებას (აირმჭრელი,
ელექტრომემდუღებელი) სერტიფიცირებულ, ლიცენზირებულ „პროფტექსერვის“-ში,
რომელიც იძლევა ნებართვას მოწმობის სახით. ასევე სარემონტო საამქროს პერსონალი
აღჭურვილია სპეცინვენტარით, დამცავი სათვალეებით, აირწინადით, რესპირატორით,
რომელიც აუცილებელია მათი საქმიანობის უსაფრთხოდ წარმოებისათვის.

- ამწე-მანიპულიატორიან სპეცტექნიკის მძღოლებს მართვის მოწმობის გარდა ესაჭიროება ამწე-მანიპულიატორის ნებართვა, რომელსაც ღებულობენ სპეციალური კურსების გავლის შემდეგ აღნიშნულ სასწავლო ცენტრში.
 - პერსონალს, რომელსაც კავშირი აქვს სახიფათო ნარჩენების შეგროვება, ტრანსპორტირება და უტილიზაციასთან უტარდებათ სამედიცინო გამოკვლევები და ტრეინინგ კურსები სახიფათო სამედიცინო ნარჩენებთან უსაფრთხო მოქმედებისათვის. ასევე ინსტრუქტაჟი ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების, პირადი ჰიგიენის წესების დაცვის, ავარიული სიტუაციების დროს სახიფათო სამედიცინო ნარჩენებთან კონტაქტისას ტრავმული დაზიანების თავიდან აცილების, სახიფათო ნარჩენების დაპნევის, დაღვრის და სხვა შესაბამისი მოქმედებებისას გასატარებელი ღონისძიების შესახებ.
 - სახიფათო ნარჩენების გადამზიდავი სპეცტექნიკის მძღოლებს ავტომანქანის მართვის ნებართვასთან ერთად ესაჭიროება ამ პოზიციაზე მუშაობის სერთიფიკატი, რომელსაც ღებულობენ გარკვეული კურსების გავლის შემდეგ.
- განსახორციელებელი ღონისძიებები
- პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე პერსონალის განვითარების, შრომის დაცვისა და უსაფრთხოების პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მთელი რიგი ღონისძიებები, კერძოდ:
- შესაბამისი მომსახურე პერსონალისთვის შესაძენია აუცილებელი ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, რათა კონკრეტული სამუშაოს შესრულების დროს უზრუნველყოფილი იქნას უსაფრთხოება.
 - შესაბამისი სპეციალისტების მიერ (გარემოს დაცვის მმართველი, უსაფრთხოების ტექნიკის მთავარი სპეციალისტი) შესამუშავებელი და დასახვეწია წლის განმავლობაში მომსახურე პერსონალთან ჩასატარებელი ინსტრუქტაჟი შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებათა გათვალისწინებით,
 - თანამშრომლთა აყვანისას პირველადი ინსტრუქტაჟის ჩატარება, რომლის დროსაც ეცნობა სამუშაოს შესრულებისას ზოგად უსაფრთხოების წესებს, რომელიც დაცული უნდა იქნას მათივე უსაფრთხოების მიზნით.
 - წელიწადში ორჯერ უტარდებათ ინსტრუქტაჟი, დადასტურებული მათივე ხელწერით სპეციალურ ინსტრუქტაჟის ჟურნალში.
 - ნარჩენების მართვის კოდექსით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება.
 - ინსინირატორის მომსახურე პერსონალის აღჭურვა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით, სპეცტანსაცმლით. ასევე ჯანმრთელობის დაცვის მიზნით წელიწადში ერთხელ სამედიცინო კვლევა, რათა დროულად გამოვლინდეს პროფესიული დაავადებები და მიღებული იქნას შესაბამისი ზომები. ანალოგიური მდგომარეობაა დეზინფექცია-დერატიზაციის სამსახურის თანამშრომელთათვის, ინდივიდუალური

დაცვის საშუალებებით, რესპირატორებით, დამცავი ხელთათმანებით და სპეცტანსაცმლით აღჭურვა.

- სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე მავნე სამუშაოს შემსრულებელი პერსონალისთვის რძის მიწოდების უზღუნველყოფა.
- სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით შენობა-ნაგებობებისა და სპეცტექნიკის აღჭურვა ცეცხლმაქრებითა და პირველადი სამედიცინო მედიკამენტებით.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების მართვა

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	სპეცტანსაცმლის, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შესასყიდი ტენდერის უარყოფითი შედეგით დასრულება	4	4	შესყიდვების სათანადოდ დაგეგმვა და დღიური ჩატარება
2	სპეცტანსაცმლის, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების დაგვიანებით მოწოდება	3	5	

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
2019	სპეცტანსაცმლის, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შეძენა.		X	X	X			X	X				
2019	მომსახურე პერსონალთან ჩასატარებელი ინსტრუქციების შემუშავება-გადახედვა.	X	X	X									
2019	momsaxure personalTan perioduli instruatJis Catareba.	X						X					
2019	axladmiRebul personalTan pirveladi instuatJi.	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
2019	Senoba-nagebobebs da specteqnikis aRWurva saxanZro stendebsiT da cecxImaqrebiT, pirveladi daxmarebis medikamentebiT.	X	X										
2019	rigi personalis (აირმჭრელი, ელექტროშემდუღებელი, ამწემანიპულატორიანი და სახიფათო ნარჩენების გადამზიდავი სპეცმანქანების მძღოლი) gadamzadeba.							X					
2019	gansakuTrebiT saSiSi profesiebis mqone personalis samedicino Semowmeba			X									
2019	rZis miwodebis uzrunvelyofa.	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

დირექტორის მოადგილე

ფინანსურ საკითხებში

10.10.2019

ნარგიზ ფალავანდიშვილი

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების მართვა

№	რისკის აღწერა	რისკის აღბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	სპეცტანსაცმლის, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შესასყიდი ტენდერის უარყოფითი შედეგით დასრულება	4	4	შესყიდვების სათანადოდ დაგეგმვა და დღიური ჩატარება
2	სპეცტანსაცმლის, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების დაგვიანებით მოწოდება	3	5	

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

[illegible]

ნარგოზ ფალავანდიშვილი

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

შპს „სანდასუფთავების“ მმართველობითი ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ შპს „სანდასუფთავების“ 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიშგების აუდიტი. შპს „სანდასუფთავების“ მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება შპს „სანდასუფთავება“. კანონის შესაბამისად საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, უნდა ასახავდეს საწარმოს საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, საწარმოს წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობით ანგარიშგებაზე

საწარმოს ვალდებულებაა მმართველობის ანგარიშგების მომზადება და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის წარდგენა სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე, კანონის შესაბამისად, საწარმო ვალდებულია, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდოს აუდიტორულ ფირმას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ წარვმართავდით აუდიტის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება, რომ მმართველობითი ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის მოსაზრების გამოცემა. ჩვენი აზრით, ჩვენ მიერ მიღებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად.

მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, მოცემული მმართველობითი ანგარიშგება შეესაბამება მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

შპს თიჯიეს კვ-ჯგუფი

კონსტანტინე კიკნაძე
გარიგების პარტნიორი
2019 წელი, 16 ოქტომბერი
თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

შპს „სანდასუფთავების“ მმართველობითი ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ შპს „სანდასუფთავების“ 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიშგების აუდიტი. შპს „სანდასუფთავების“ მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება შპს „სანდასუფთავება“. კანონის შესაბამისად საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, უნდა ასახავდეს საწარმოს საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, საწარმოს წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობით ანგარიშგებაზე

საწარმოს ვალდებულებაა მმართველობის ანგარიშგების მომზადება და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის წარდგენა სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე, კანონის შესაბამისად, საწარმო ვალდებულია, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდოს აუდიტორულ ფირმას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ წარვმართავდით აუდიტის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება, რომ მმართველობითი ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის მოსაზრების გამოცემა. ჩვენი აზრით, ჩვენ მიერ მიღებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად.

მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, მოცემული მმართველობითი ანგარიშგება შეესაბამება მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

შპს თიჯიეს კვ-ჯგუფი

კონსტანტინე კიკნაძე
გარიგების პარტნიორი
2019 წელი, 16 ოქტომბერი
თბილისი, საქართველო

